В середине ноября Белая армия оказалась в весьма тяжелом положении. Эстония, решившая заключить мир с большевиками, не пропустила белых на левый берег Нарвы. не пропустили, и она была оставлена оборонять правый берег реки южнее Нарвы. За спиной белоэстонцев начался грабеж военных складов. Красные взяли «в мешок» белогвардейские части. Эстонцы же не пускали на свою территорию. Обезоруженный и обманутый талабский полк был полностью уничтожен. Сегодня на этом месте стоит деревянный крест, напоминающий о страшной трагедии.

Пропуск 15 тысяч солдат и офицеров Северо-западной армии на территорию Эстонии обратился в ужасную картину. Эстонские солдаты прямо на морозе раздевали солдат, снимали новые шинели, отнимали ценные вещи. Затем людей разместили в пустующих фабричных зданиях. Условия были ужасными: ни кроватей, ни одеял, ни теплой одежды, ни медикаментов... «Русских начали убивать прямо на улице, запирали в тюрьмы и концентрационные лагеря, вообще всячески притесняли всякими способами. С беженцами из Петроградской губернии, число коих было более 10 000, обращались хуже, чем со скотом. Их заставляли сутками лежать на трескучем морозе на шпалах железной дороги. Масса детей и женщин умерла.» (Секретный доклад 1920:143—169).

Куприн разделил трагический путь Северо-Западной армии. Как личную трагедию воспринял писатель поражение армии: «Я... склоняю почтительно голову перед героями всех добровольческих армий и отрядов, полагавших бескорыстно и самоотверженно душу свою за други своя», — скажет он о солдатах, сражавшихся за землю Русскую в Гражданскую войну в изданной в Париже повести «Куполе Святого Исаакия Далматского» И далее об офицерах Северо-Западной армии: «В офицерском составе уживались лишь люди чрезмерно высоких боевых качеств. В этой армии нельзя было услышать про офицера таких определений, как храбрый, смелый, отважный, геройский и так далее. Было два определения: „хороший офицер“ или, изредка, — „да, если в руках“». (Куприн 2007:98).

Видя в борьбе с большевиками свой долг, он гордился службой в этой армии, смог бы — пошёл бы в строй, на позиции. Как дорогую реликвию в эмиграции он хранил полевые погоны поручика и трехцветный угол на рукав, сшитый Елизаветой Морицевной.

Следует отметить, что отстраненный по болезни от службы, Куприн считал делом чести поступить добровольцем и занимался редакторской работой при штабных газетах. В начале ноября в Нарве (Ивангороде) генерал и писатель П. Краснов издавал газету Северо-западной белой армии «Приневский край». Газета придерживалась правых позиций и также тесно была связана с командованием Северо-западной армии. Газета была создана 19

октября 1919 г. в Гатчине по указанию штаба армии как ее орган, предназначенный для гражданского населения районов, освобожденных от красных. Непосредственным руководителем газеты стал генерал П. Краснов, большая же часть редакционной работы выпала на долю А. Куприна.

После отступления Северо-западной армии из-под Петрограда редакция обосновалась в Нарве, где с 7 декабря 1919 г. на 23-ем номере было возобновлено издание газеты. Впрочем просуществовала газета недолго: последний номер (№50) ее вышел 7 января 1920 г.

Проживая в 1919 году в Гатчине, Куприн был призван, как офицер запаса царской армии (поручик), на военную службу в белую Северо-Западную армию в качестве редактора именно этой армейской газеты. Вот как вспоминает он об этих днях:

«Я «явился» ему (коменданту) по форме. Он оглянул меня сверху вниз и как-то сбоку, по-петушиному. С досадою прочитал я в его быстром взоре обидную, но неизбежную мысль: «А лет тебе все-таки около пятидесяти».

— Прекрасно, — сказал он любезным тоном. — Мы рады каждому свежему сотруднику. Ведь, если я не ошибаюсь, вы тот самый... Куприн... писатель?

— Точно так, господин капитан.

— Очень приятно. Чем же вы хотите быть нам полезным?

Я ответил старой солдатской формулой:

— Никуда не напрашиваюсь, ни от чего не откажусь, г. капитан.

— Но приблизительно... имея в виду вашу профессию.

— Мог бы писать в прифронтовой газете. Думаю, что сумел бы составить прокламацию или воззвание...» (Куприн 2007:92).

Особенностью этой газеты была публикация не только фронтовых сводок, но и литературных материалов. В дальнейшем с отступлением армии, редакция газеты перешла в Нарву, куда переехал и Куприн с семьей. Было начало ноября и большевики готовили наступление на Нарву, поэтому Куприны в Нарве не задержались и переехали в Ревель. Последний номер «Приневского края» вышел в свет в Нарве 7 января 1920 года. (Куприн 2007:102).

С 26 августа 1919 г. в Таллинне начала выходить газета Северо-западного правительства «Свободная Россия».

Уже 16 сентября 1919 г. «Свободная Россия» была закрыта по распоряжению министра внутренних дел Эстонии, но через день издание газеты было возобновлено под измененным названием «Свобода России». Газета призывала к борьбе с большевиками и с этих позиций поддерживала белую армию, но в то же время всячески откровенничала от реакционно-монархи-

ческого лагеря и пыталась убедить белых не восстанавливать старых порядков и утвердить демократию в России.

23 июня 1920 г. «Свобода России» была закрыта по распоряжению военного командования Эстонии.

Уже на следующий день вместо нее стала выходить газета «За свободу России», которая продолжала прежнюю линию, что закономерно вызвало новое закрытие газеты эстонскими властями, уже окончательно, – 26 августа 1920 г. Короткое время в газете – в конце 1919 г. – печатался А.И. Куприн.

Органом белой армии Н. Юденича была газета «Вестник Северо-западной армии», начавшая выходить под несколькими названиями – «Вестник Северной армии» – 22 июня 1919 г. Газета печаталась в Нарве. Газета отражала точку зрения командования армией и стояла на правых монархических позициях. Ее лозунгом было «Вперед – за Великую, Единую, Неделимую Россию».

В октябре 1919 года Юденич предпринимает поход на Петроград, окончившийся для него полным провалом. А в первые дни ноября Куприн с отступающими частями Северо-западной армии генерала Юденича вместе с семьей — женой Елизаветой Морицевной и дочерью Ксенией уезжает в Гельсингфорс и приблизительно дней через двадцать – двадцать пять получает визу во Францию. 4 июля 1920 года Куприн с женой и дочерью прибыл в Париж. После поражения, уже побывавший в тюрьме и в заложниках, он спасал себя и свою семью от террора. Так началась эмиграция.

Память — удивительная вещь. В годы эмиграции Куприн пишет три большие повести, много рассказов, статей и эссе. Однако тема армии, наряду с темой любви, остается любимой и неизменной. Если «Поединок» сводит образ благородного царского офицера почти до уровня офицера современного, то «Юнкера» наполнены духом русской армии, непобедимым и бессмертным. «Я хотел бы, — говорил Куприн, — чтобы прошлое, которое ушло навсегда, наши училища, наши юнкеры, наша жизнь, обычаи, традиции остались хотя бы на бумаге и не исчезли не только из мира, но даже из памяти людей. „Юнкера” — это моё завещание русской молодёжи» (Куприн 2007:106).

Уже в эмиграции, вдали от отчей земли, Александр Иванович вспомнит родное, заветное, увиденное в далеком-далеком детстве: «Меня упрекнут, может быть, — писал он, — в том, что я все рассказываю в настоящем времени: говорю есть, а не было... Но что же я могу с собою поделать, если прошлое живет во мне со всеми чувствами, звуками, песнями, криками, образами, запахами и вкусами, а теперешняя жизнь тянется передо мною как ежедневная, никогда не переменяемая, надоевшая, истреplенная фильма. И не в прошедшем ли мы живем острее, но глубже, печальнее, но слаще, чем в настоящем?» (Куприн 2007:108).

«Пасхальные колокола» (1928), «Молитва Господня» (1929), «Московская Пасха» (1929), «У Троице-Сергия» (1930) — все эти рассказы о России написаны во Франции. Как никогда раньше, Куприн размышляет о русском характере, русской душе, которая и на чужбине не иссякает. Один из этюдов эмигрантского периода так и называется — «Русская душа». Написанный по случаю, в связи с обвинениями в адрес бывшего белогвардейского офицера, дошедшими из советской России, этюд этот удивительно точно передает состояние души самого писателя в ту нелегкую для него пору. Этюд невелик, потому приведем его почти полностью:

«Конечно, очень легко упразднить душу и рассчитать за ненадобностью Бога, возглаговав над миром интересы желудка и пола: гораздо становится удобнее и проще протянуть временное земное бытие, чем перейти потом навсегда в черное "ничто".

Но русскому человеку не жить без души.

Хорошее есть старое мужицкое словечко. Пожалейте мужика, скажите ему: "Ах ты, бедный!" Он поправит вас: "Беден один черт. У него души нет".

Оттого-то у меня не хватает слов, чтобы выразить в газетной статье все глубокое уважение, весь гордый восторг, которые я испытываю, когда думаю о том, как прекрасно, широко и благостно проявляется живая русская душа здесь, на чужбине, среди трудов, скорбей и лишений, вдали от милой Родины.

Я не говорю уже о последних днях святого предпраздничного подъема, когда у всех беженцев, по некрасовским словам, "как ветром полу правую / отворотило вдруг..." в пользу голодающих и безработных. Но как не вспоминать о той щедрой и поспешной готовности, с которой русское эмигрантское общество отзывалось на каждую нужду, на каждую боль... Вспомним о сборах в пользу инвалидов, вспомним создание убежища для беспризорных, брошенных русских мальчиков, вспомним массовые отклики на каждый отдельный случай братского несчастья, вспомним об усердных дарах на церковные надобности и... пожалуй, устанем перечислять примеры величия, чуткости и доброты русской души в изгнании.

Не пройдем также благодарной памятью тех тяжелых времен, когда шли из эмиграции в Россию хуверовские и индивидуальные посылки. Это было дело многих миллионов франков. Оборвалось оно по злой вине тех же большевиков с упраздненной душою.

Ах, братья мои, слезы радости стоят в глазах, когда думаешь: "Жив Бог, жива Россия, живем и цветом неизменным цветом русской души".

Эмиграция более миллиона бывших подданных России переживалась а осмысливалась по-разному. Пожалуй, наиболее распространенной точкой зрения стало убеждение в особой миссии русского зарубежья, призванного сохранить и развить все живоносные начала исторической России.

Россия всегда была источником вдохновения Куприна, любовь к ней никогда не ослабевала в его душе. Поэтому, первый же очерк, написанный им на родине, имевший характерное название _ «Москва родная» отразил и тоску эмигрантских лет, и неиссякаемое чувство любви к России. Именно это чувство помогло писателю выжить и дожить до возвращения на родину.

Проведенное исследование позволило прийти к следующим выводам:

- в судьбе А.Куприна было много жертвенности, бесконечной тоски по Родине, обиды русского офицера, болезненного обострения мыслей и чувств и, главное, памяти.
- одна из основных тем своего творчества эмигрантского периода жизни – тему армии Куприн развивал и в эмиграции;
- Россия, народ и армия, как ее защитник всегда была источником вдохновения Куприна.

ЛИТЕРАТУРА

Ахиезер 1993: Ахиезер А. Эмиграция из России: культурно _ исторический аспект. М., 1993.

Бронская 2001: Бронская Л.И. Концепция личности в автобиографичной прозе Русского Зарубежья первой половины XX века. Ставрополь, 2001.

Демидова 2001: Демидова О.Р. «Эстетика литературного быта Русского Зарубежья: (На документальном материале русской эмиграции 1920-1960гг.)», СПб, 2001.

Куприн 1999: Куприн А.И. Голос оттуда. 1919-1934. Рассказы. Очерки. Воспоминания. Фельетоны. Статьи. Литературные портреты. Некрологи. Заметки. М., 1999.

Куприн 2007: Куприн А.И. Полное собр. соч., в 10 томах. М. 2007 (т.10, с.343-362; т. 8. с. 92, с.98, с.102, с.106, с.108).

Секретный... 1921: Секретный доклад С.- з. фронта, 1920. Г. В. Гессен, Архив русской революции, т.2, Берлин, 1921, с. 143-169

MAIA JALIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Restored the Mythic-poetic Model of the Broken Time and Space (According to the novel by Grigol Robakidze “Guards of Grail”)

Soviet Georgia was some kind a violation of time and space for Georgian writer Grigol Robakidze, which was fugitive from the homeland. In his artistic activity the writer saved his homeland in the manner that he presented a mythical and poetic models of independent Georgia. He spiritually saved Georgian culture

by his works. In his novel “Guards of Grail” he symbolically restored the Georgia and created his mythical and poetic model. Thus, he retained a national identity and expressed faith in freedom and survival of Georgia by the way of using symbolic and mythical paradigms.

Key words: Grigol Robakidze, Grail, Mythical, Georgian Literature.

მანია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დარღვეული დრო-სივრცის აღდგენილი მითოპოეტური მოდელი (გრიგოლ რობაქიძის „მცველნი გრალისა“ მიხედვით)

სამშობლოდან იძულებით გადახვენილი გრიგოლ რობაქიძისთვის საბჭოური საქართველო იქცა დარღვეულ დრო-სივრცედ, რომელშიც სასიცოცხლო შემოქმედებითი ენერგია მთლიანად ჩაკლა და ჩაანაცვლა ბოლშევიკურმა დამანგრეველმა, დემონურმა რეჟიმმა. ლიტერატურა და გერმანული კულტურული სამყარო მისთვის იქცა თავშესაფრად, სადაც იგი სამშობლოს სულიერ გადარჩენას მხატვრულ სამყაროში შეეცადა. ემიგრაციაში გერმანულ ენაზე დაწერილ რომანში „მცველნი გრალისა“ მან შექმნა აღდგენილი საქართველოს მითოპოეტური მოდელი. ამგვარად, მან შეინარჩუნა ეროვნული იდენტობა და სიმბოლურ-მითოსური პარადიგმების გზით საქართველოს თავდახსნისა და გადარჩენის რწმენა გამოხატა.

რომანში აღწერილი „მითიური რეალობა“ წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ბოლშევიკური ხელისუფლების ძალადობას ქართველ ხალხზე, სინამდდეთა შელახვასა და ტრადიციათა შეურაცხყოფას, პიროვნების ხრწნას, ფსევდოკულტურის დამკვიდრებას, მეორე მხრივ, გრალის თასის, მწერლის მიერ კლასიკური რელიგიური სიმბოლოს ტრანსფორმირებული ხატის, მცველთა თავგანწირულობას მადლისა და ეროვნული მეობის გადასარჩენად.

რომანში შექმნილ მითოპოეტურ სივრცეში ქართველი ერის ნიაღვრადან, ცოცხალი ფესვებიდან წამოსული ენერგია წინააღმდეგობას უწევს ბნელ ძალებს, სინათლის უფსკრულში ჩანთქმას რომ ესწრაფვიან. „თვით ხალხის სულიერ ფესვებს ემუქრებოდა განადგურება. ისტორიის განმავლობაში მათი ნაწილი მუდამ რჩებოდა ხელუხლებელი, მაგრამ თუკი ყველა ფესვი მოინამლა, საშველი აღარსადაა: მაშინ ყოფიერება იქცევა იარაღად დემონურ ძალთა ხელში“ (რობაქიძე 2012ა: 178). ნათ-

ლის მხედრები, სიტყვის (უფლის) ერთგულნი, სიბნელეს არ ემორჩილებიან. „ვიდრე ადამიანი იტანჯება, მას კიდევ რჩება ძალა აღორძინებისათვის“ (რობაქიძე 2012ა: 182). გრალის თასის მცველობის სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნება, უპირველესად, თავისუფლების, ადამიანში ღვთის ხატებისა და მსგავსების გადარჩენას გულისხმობს.

რომანში მცველნი გრალის თასისა, რომელიც საქართველოს მფეთქავი, ცოცხალი გულია, ერთი მხრივ, არიან წინაპრები, მეორე მხრივ, თანამედროვენი: თავადი გიორგი (ძველი, დიდებული, დამოუკიდებელი ქვეყნის სიმბოლო), რომელმაც წინაპრებისაგან გადმოცემული თასი შეინახა და მომავალ თაობას გადასცა, ლევან ორბელი (მისტიკურ-მაგიურად მჭვრეტელი ერის სულისა) და ხელოვანნი (მწერლები, პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, რეჟისორები). ავალას, ოდილიანის, მარჯანის დაშიფრულ სახეთა მიღმა მწერალმა ქართული სიტყვის ერთგულ მსახურთა: ტიცვიან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კოტე მარჯანიშვილის, უშანგი ჩხეიძის სახეები წარმოაჩინა.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ქართული კულტურა ინახავს ერის სულიერებას, სწორედ ამიტომაც ქმნის ამ რომანში წარმოსახვით აღდგენილ მითოპოეტურ დრო-სივრცეს, რომელშიც წარსული, აწმყო და მომავალი განუყოფელია. ამ სივრცეში ქართველები დედამიწას ეპყრობიან, როგორც „დიდ დედას“ და მისტიკური კავშირი აქვთ კოსმოსთან. ამ დრო-სივრცეში უკვდავყოფილნი არიან გრალის მცველნი, რომელთაც შეძლეს იდეალების ერთგულება და ფასეულობათა გადარჩენა.

„ერთ წამში მოხელთებული უსასრულობა სივრცის“ (რობაქიძე 2012ა: 229) — ამბობს ლევან ორბელი, მთავარი გმირი რომანისა და ამგვარად სწვდება დრო-სივრცის მეტაფიზიკურ ერთიანობას. ის პოეტიკა და ხშირად ეუფლება ექსტაზი, როდესაც უსაზღვრო, ზეპიროვნული სიყვარულით იმსჭვალება, წარსულს, აწმყოსა და მომავალს მთლიანობაში განიცდის და გრძნობს კავშირს ყოველ ცოცხალ თუ გარდაცვლილ არსებასთან, მისთვის ესაა „მარადისობის ზღვარი, ვინც კი მას ერთხელ მიუახლოვდება, შეძლებს შეაბიჯოს ნეტართა სამყოფელში“ (რობაქიძე 2012ა: 4). ლევან ორბელი, მწერლის აზრით, პრომეთეული არსებაა, შინაგანი ცეცხლით სავსე, ამიტომაც სწორედ იგია სიმბოლო საქართველოს მისტიკურად გამამთლიანებელი სივრცისა, რომელიც ქართველობის არსს ინახავს და ავითარებს.

რომანში ორ ურთიერთაპირისპირებულ პოეტურ სივრცეს ქმნის მწერალი: რეალურ-ისტორიული სივრცე და წარმოსახული სივრცე, რომლებიც თავისთავში გულისხმობენ სხვა მხატვრულ სივრცეებსაც.

რეალურ-ისტორიული სივრცე წარმოდგენილია მეოცე საუკუნის საქართველოს 20-იანი წლებით, როდესაც ორი სივრცეა შეჭიდებული — ბოლშევიკური ხელისუფლებით მართული, მის მიერ შექმნილი

სივრცე და დამოუკიდებლობას ვერშეგუებულ ხალხის სივრცე, რომელიც, უპირველესად, წარმოჩნდება საირმეში. საირმე, ამ შემთხვევაში, არის ერთგვარი ცენტრი, გული, რომელიც თავის გარშემო იკრებს და მართავს ამ სივრცეს. საირმე რობაქიძისთვის ერთგვარი სიმბოლური სივრცეა, მას ვხვდებით „გველის პერანგში“.

თავისუფლების სულისკვეთებით გაჟღენთილი სივრცე მოიცავს მითოლოგიურ სივრცესაც, რომელსაც ქმნის რომანის მთავარი ძარღვი — ამბავი გრალის თასისა. იგი ქმნის საკრალურ სივრცეს, თავისუფალი საქართველოს ერთგვარ წინარე ხატს, რომელიც ყოველ დროში არსებობს და განაპირობებს ქართველი არის გარკვეულ დრო-სივრცეში არსებობას.

როგორ იხატება რობაქიძის მიერ შექმნილი სიმბოლო — თასი გრალისა? ეს არის გრალის თასის ერთგვარი ვარიაცია, ქართულ სულიერ სივრცეში გამოვლენილი. მასში უძველეს დროში დასაღუპავად განწირული ქართველი რაინდები სასწაულებრივად აყვავებულ ვაზის ჯვარზე გამოსხმული მტევნებს ჩაწურავენ და გადარჩებიან.

გრალის თასი არის კარდუს, ქართველთა მითიური მამამთავრის, ერთგვარი ჰიპოსტასი, რომლის გადარჩენა ერის ხსნას ეთანაბრება, ამიტომაც არის, რომ რომანში მისი უპირველესი მცველნი, თავადი გიორგი და ლევან ორბელი ფიზიკურად იღუპებიან, მაგრამ ისინი მისტიკურად ერწყმიან ამ თასს.

თასის გადარჩენისთვის ბრძოლა რომანის მთავარი მოტივია.

რომანში გვხვდება ერთგვარი სივრცული გზაჯვარედინები, მეტაფიზიკურ რეალობას რომ ქმნიან და ამ წერტილებში პერსონაჟებს ეუფლებათ ერთგვარი ექსტაზი, რომელიც ინვესს სულიერ ტრანსფორმაციას და გმირს მარადისობასთან ზიარებაში ეხმარება. წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობა მწერლისთვის მნიშვნელოვანია იმ რწმენის ასაღორძინებლად, რომელიც დამოუკიდებელი და თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მატერიალურ სივრცეში არსებობას გულისხმობს. მითოსის, ზღაპრის, ლეგენდის, პოეზიის წარმოსახულ სივრცეებში პერსონაჟები მოგზაურობენ დაკარგული სულიერი ძალების მოსაპოვებლად, რათა ეს ენერგია შემდეგ ხალხის ღირსებისა და თვითშეგნების გამოვლიძებისთვის გამოიყენონ.

მწერალი ქმნის კლასიკურ ტრადიციაზე დაყრდნობილ ახალ პოეტურ მითს გრალის თასისას, რომელშიც მფეთქავი გული ასვენია საქართველოსი. ის მატერიალიზებული სახეა ერის უკვდავი სულისა და მისი სამყოფი სივრცე, ერთი მხრივ, ლეგენდის, წინაპრების საკრალური სივრცეა, მეორე მხრივ სიზმრისა, ჭვრეტისა თუ ხილვისა. მისი შენახვა, გადარჩენა ქართველ ხელოვანთა მთავარი მისიაა, რომელიც რომანში ხორციელდება მეოცე საუუნის 20-იან წლებში საბჭოთა დე-

მონურ ხელისუფლებასთან ბრძოლის პირობებში. გრალის მცველის, ლევან ორბელის, მსხვერპლშენიერვა საღვთო რიტუალია, რომელიც გულისხმობს ერის მზადყოფნას გაიმეოროს ჯვარცმის მისტერია — მამა შვილს სწირავს ცოდვილთა გამოსახსნელად. გრალის თასის უსაფრთხო სივრცეში, მუხის გულში, გადაძალა მიაწინებს, ბუნების, როგორც ერის ნაწილის, თანაზიარობაზე ხალხის მისწრაფებებთან.

გრიგოლ რობაქიძე მკითხველს უნერგავს რწმენას, რომ საქართველოს რეალურ-მატერიალური სივრცე არსებობს იმდენად, რამდენადაც ქართველ ხალხს აქვს განცდა ერთიანი, მარადიული დროისა, რომლის ნაწილიც თვითონვე არიან. ამგვარი მეტაფიზიკური აღქმა სივრცისა საფუძველია ერის გადარჩენისა.

ლევანის სახით გრიგოლ რობაქიძე ქმნის იმგვარ პერსონაჟს, რომელიც თავისუფლების იდეად გარდაიქმნება. იგი მზის ნიშნით არის აღბეჭდილი, რაც იმგვარ არსებობას ნიშნავს, როცა ყოველ წუთს მზად ხარ თავი გასწირო და გააჩუქო მზესავით. საგულისხმოა, რომ რომანში კოტე მარჯანიშვილი დგამს პიესას, რომლის კულმინაციაა ეპიზოდი, როდესაც მეზობლებს დალუპული მეომრის ცოცხალი გული შემოაქვთ (ამ ეპიზოდს თამაშობენ უშანგი ჩხეიძე და აკაკი ვასაძე. ლევანი წერს სწორედ ამ დროს მეომრის წარმოსათქმელ სიტყვებს, რომლებმაც უნდა შეძრან ქართველი მაყურებლის გული და თავგანწირვისთვის აღძრან).

პერსონაჟი, როგორც თავისუფლების იდეა — გვახსენებს ვაჟაფშაველას მიერ შექმნილ ლუხუმის სახეს „ბახტრიონში“. პოემის ბოლოს დაჭრილ ლუხუმთან მიახლოებული საზარელი გველი, იძლევა სიკეთის მიერ. მისი არსების ბნელი ენერგია დაიძლევა და გადაიფარება იმ სინათლით, რომელიც ლუხუმის არსებიდან მოედინება. ეს ეპიზოდი ვარიაციაა „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხის აღებისა და იმ სიბრძნის დასტურია, რომელიც გამჟღავნებულია პოემის აფორიზმებში: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“, „ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს...“). დიონისე არეოპაგისეული მოძღვრება მსჭვალავს ქართულ ლიტერატურას და ეს ტრადიცია ირეკლება ამ რომანშიც.

საგულისხმოა, რომ მას შემდეგ, რაც ლევან ორბელი გრალის მცველი ხდება, ის იცვლება არა მხოლოდ შინაგანად, არამედ ფიზიკურადაც. იგი თითქოს ადამიანი კი არა, ცეცხლი იყო —სიყვარულით ანთებული. მას საოცარი ნათელი გადაეფინება, მისი სხეული განიმსჭვალება ღვთაებრივი სიკეთის ძალებით, რათა მან არა მხოლოდ მიწიერი, არამედ კოსმიური ბოროტი ძალები დაამარცხოს. მას სჯერა გრალის თასის გადარჩენისა, ამიტომ იოლად აჯერებს ხალხსაც, რომელსაც წარსულს თხრობისას მითოსად გარდაუქნის. მისი აზრით, როდესაც ერი ქედს უხრის დამპყრობელს, მისი სულიერი სიმრთელე სასიკვდილოდ ზიანდება, ხოლო თუ ვინმე ერთი მაინც არ დანებდება, ამით ერის სასიც-

ოცხლო დვრიტა გადარჩება. მას არც სიკვდილის ეშინია; „მე აქ დავრჩები გრალთან ერთად. სიკვდილის წინ ჩვენს თასს წმინდა ცეცხლს გადავცემ, რათა უწმინდური ხელი არ შეეხოს. ის საქართველოს უკვდავ გულში განაგრძობს სიცოცხლეს. ამიერიდან მისი მცველი სხივოსანი ლაშარი იქნება“ (რობაქიძე 2012: 224). რომანში ბოროტებას, რომელიც კონკრეტულ დრო-სივრცეში ბოლშევიზმს ემსახურება, უპირველესად, განასახიერებს ველსკი, ყვითელსახიანი წითური, მოლურჯომოიისფრო, ირიბად გაჭრილი, ჩამუქებულ უბეებში ჩამდარი ერთურთს არაბუნებრივად დაშორებული თვალებით, „სამურაი უნდა ყოფილიყავი, მისი მზერისთვის რომ გაგეძლო“ (რობაქიძე 2012:7). ტიპეტელი ჯადოქარით ყრუ და მომწუსხველი ხმით. სწორედ მასთან დაპირისპირება სიმბოლურად წარმოაჩენს დემონური და ღვთაებრივი ძალების ჭიდილს. მათ რეალურ დაპირისპირებას წინ უსწრებს ლევანის სიზმარი, რომელშიც ეს ურჩხული მას ყელის გამოჭრას უპირებდა. სხვა კომპარულ სიზმარში კი ველსკი გრალის თასში შემძვრალ საზარელ შხამიან ობობად წარმოუდგება. ველსკი თვითონვე აღიარებს, რომ ის გრალის შემწუსვრელია და ემსახურება უსახელოს, იგივე სატანას.

როდესაც თავადი გიორგის სასახლეში შეჭრილი ველსკი ცდილობს, რომ ხელში აიღოს გრალი — აქ თითქოს ზეციურ ძალთა ორთაბრძოლა იხატება. ველსკი მეფისტოფელური სახეა. ბოლშევიკური ხელისუფლება უარყოფდა ყოველგვარ მისტიკურს, საკრალურს (ეს კარგად ჩანს ლეგასა და ველსკის საუბრებში — ისინი გრალის თასს სისულელედ, ჯამბაზობად აცხადებენ), მაგრამ ველსკი გველივით გონიერია, ის სწვდება სამყაროსეულ კანონზომიერებას, მან იცის, რისთვის არის ამქვეყნად მოვლენილი და, მიუხედავად ზედაპირული ღვთისუარმყოფელობისა, შინაგად სწამს მისი არსებობა და თავისი წინააღმდეგობის მნიშვნელობაც.

ლევან ორბელიცა და თავადი გეორგიც, გველეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგის ხატებანი, თვითონ გრიგოლ რობაქიძის ალტერ ეგონი არიან. ორივე გამოხატავს მის წარმოდგენებს ქართველობასა თუ სამყაროსეულ ჭეშმარიტებებზე. სწორედ ეს ორი პერსონაჟია მთავარი ძალა, რომელიც ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოს იდეის გადარჩენას ეწევა.

რობაქიძე ტრილოგიად მიიჩნევდა თავის სამ რომანს: „გველის პერანგს“, „ჩაკლულ სულსა“ და „მცველნი გრალისას“. „გველის პერანგში“ იხატება თავისუფალი სირცე, რომელსაც „ჩაკლულ სულში“ ბლალავს, შლის და ანგრევს ბოლშევიზმი, ხოლო რომანში „მცველნი გრალისა“ წარმოდგენილია ბრძოლა ბნელ ძალებთან ამ სივრცის გადასარჩენად.

საგულისხმოა, რომ გრიგოლ რობაქიძე რეალურადაც და ამ რომანის მიხედვითაც, ვერ ხედავს გამოსავალს შეაიარაღებული გზით

ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში. ეს კარგად ჩანს ცალკეულ ეპიზოდში.

ლევან ორბელი 1924 წლის აჯანყებაში არ მონაწილეობს და წინააღმდეგეცაა ამგვარი ბრძოლისა. ბასილასთან საუბარში მას ეს აჯანყება ხალხის თვითგამანადგურებელად და სრულ სიგიჟედ, ხარაკირად მიაჩნია. მას არ მოსწონს, რომ აჯანყებას თანასწორობის კომიტეტი ხელმძღვანელობს და არა ქარიზმატული წინამძღოლი: „რა ფასი ექნება იმ ჯარს, რომელიც ჰანიბალის, ალექსანდრესა თუ ნაპოლეონის მაგიერ რომელიღაც კომიტეტს შეჰყურებს?! ესაა ბრბო, ნაცვლად მუჭად შეკრული ძალისა. ლიდერის მაგიერ—კომიტეტი? ეს ხომ ანონიმური იმპოტენციაა!“ (რობაქიძე 2012ა:163). მას ასევე დაუშვებლად მიაჩნია ის, რომ აჯანყებულნი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან აქტიურად არ თანამშრომლობენ. ირუბაქიძეთა ძველისძველი სახელოვანი გვარის შთამომავალი, რომელიც გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე თავის შეფიცულებთან ერთად ბოლშევიკების წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძოდა, ერთადერთ ლიდერად წარმოუდგება. ამ აჯანყების კრახი რომანში დიდი გულისტკივილითაა წარმოჩენილი.

ლევან ორბელიცა და თავადი გიორგიც იბრძვიან საქართველოს პირველხატის, სულის გადასარჩენად. ამიტომაც მათთვის მნიშვნელოვანია გრალის თასის გაფრთხილება, ამ მფეთქავი გულის გარეშე, ერის სულიერი სცოცხლის გარეშე მისი ფიზიკური არსებობა წარმოუდგენელია.

რობაქიძის აზრით, ეს არის უმნიშვნელოვანესი, თუ პირველხატი გადარჩა, მაშინ ის აუცილებლად გამოვლინდება გარკვეულ მატერი-ალურ სივრცეში, თუნდაც ცალკეული ადამიანის გულში.

სწორედ ამას გულისხმობს ლევანი, როდესაც, ციხესიმაგრეში გამაგრებული, ზაქარას ახალი ორდენის შექმნაზე ესაუბრება: „ხალხი შინაგანად დამსხვრეულია, მაგრამ არა განადგურებული. ჩვენი ვალია, მისი ძალების აღორძინებას შევეუწყოთ ხელი. უნდა შეიქმნას რჩეული კაცების მცირე გაერთიანება, რომელიც საკუთარ თავში ქართულ სულსა და არსს წმინდად და საიდუმლოდ შეინარჩუნებს“ (რობაქიძე 2012ა: 193).

რა აძლევს რობაქიძეს ამ პირველხატის გადარჩენის რწმენას? „ყოველ სანაყისში თაურსანაყისი თვლემს და მარადიული ცალკეულშია წარმოდგენილი. და თუ ცალკეული თავის თავზე მარადიულის გამანაყოფიერებელ ზემოქმედებას შეიგრძნობს, ამგვარად ის მარადიულთან წილნაყარია. მაშინ მისთვის ყოველი სასიკვდილო ზღვარი მეტად აღარ არის საბედისწერო საფრთხე და, მეტაფიზიკურ მიჯნას შეჯახებული მისი „მე“ შეიძლება გადარჩეს. ამგვარად, თაურშიშის დაძლევის ერ-

თადერთ გზად მითიური რეალობის ცოცხალი წვდომა გვესახება“ (რობაქიძე 2012 ბ: 38)

ქართველის ერის ისტორია, მისი კულტურა, ტრადიციები. ეს ყოველივე ძნელად იძლევა ბოლშევიზმის მიერ: გავისხენოთ, რომ ლევანთან ერთად მონათლული ბესია ხელმძღვანელობს იმ ჯარს, რომელსაც ციხესიმაგრის დანგრევა და მეამბოხეთა შეპყრობა ევალება. როგორ იქცევა ბესია? ის თვალს ხუჭავს. ან კიდევ, როდესაც თავადი გიორგის დაკითხვას ავალბენ მის ნათლულს, გპუ-ს მაღალჩინოსან შავდიას, ის უარს ამბობს, ხოლო როცა გიორგი გპუ-ს ტალანში არხინად მოსეირნე ბაგრატიონს, საქართველოს ტახტის ერთადერთ მემკვიდრეს თვალს მოჰკრავს, ის შერცხვენილი მიიმალება. ამ ადამიანებს ჯერ კიდევ გააჩნიათ სინდისი, რომლის ჩაკვლასაც ბოლშევიკური რეჟიმი ცდილობდა.

საგულისხმოა, რომ თავადი გიორგი ველსკის დაკითხვაზე რუსულად საუბარზე უარს ეტყვის, ცარისტულმა რუსეთმა ქართველებს გვიღალატა და ამ ენასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიური ბარიერი მექმნებაო. ველსკი იძულებულია ფრანგულ ენაზე დაჰკითხოს.

სიყვარული არის მთავარი ძალა, რომელიც გმირებს სულიერად ამტკიცებს. ნორინა, მარადქალურობის სიმბოლო, ლევანის შთამაგონებელი და ძალის მიმცემია გრალის თასის გადასარჩენად გამართულ უშეღავათი ბრძოლაში.

რომანის ბოლო ეპიზოდში ნორინა ფანჯრიდან იისფერ საღამოს გასცქერის. „უეცრად ლევანის სახე იხილა, სინათლით იყო გამსჭვალული და ნათელს ასხივებდა“ (რობაქიძე 2012: 241). ეს ნათელი მკითხველსაც გადაეფინება და რწმენითა და სიყვარულით აღავსებს.

შეიძლება ითქვას, ამ რომანით, გრალის თასის მხატვრული სახის შექმნით, მწერალმა საქართველო გაამთლიანა და გადაარჩინა, მას შეუნარჩუნა საკრალურობა, რომლის შებღალვასაც ცდილობდა ბოლშევიკური ხელისუფლება.

დამოწმებანი:

რობაქიძე 2012ა: რობაქიძე გრ. „მცველნი გრალისა“. თბ.: „არტანუჯი“, 2012.

რობაქიძე 2012ბ: რობაქიძე გრ. „დემონი და მითოსი“. თბ.: „არტანუჯი“, 2012.

ემიგრანტების შემოქმედება — ინტეგრაცია და
ადაპტაცია

Emigrants' Fiction - Integration and Adaptation

DAVID BARBAKADZE

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Peculiarities of Intersection of Individual Experience, Specificity
of the Avant-garde Art and Historical context on the Example of
Three Key émigrés avant-garde artists
(Hans Arp, Kurt Schwitters, Rauol Hausmann)**

In the thirties of the past century the National Socialists announced modern art as “degenerate art” and officially banned it which caused emigration from Germany the best representatives of Avantgarde. Such key figures as Arp, Schwitters and Hausmann also shared the fate of the banned artists. It is noteworthy that these three artists are united by a sort of heresy in relation to the “orthodox” context of the avant-garde itself. In spite of this, individual experience of their art totally differs from each other and gives an opportunity to trace specific peculiarities of their avant-garde art and important details of interaction of a concrete historical context.

Key words: National Socialism, avant-garde art, Exile Literature

დავით ბარბაკაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ინდივიდუალური გამოცდილების, ავანგარდული
ხელოვნების სპეციფიკისა და ისტორიული კონტექსტის
ურთიერთგადაკვეთის თავისებურებანი სამი ცენტრალური
ავანგარდისტი ემიგრანტის მაგალითზე
(ჰანს არპი, კურტ შვიტტერსი, რაოულ ჰაუსმანი)**

გასული საუკუნის 30-იან წლებში ნაციონალსოციალისტებმა მოდერნისტული ხელოვნება გადაგვარებულ ხელოვნებად გამოაცხადეს და ის ოფიციალურად აკრძალეს, რამაც გერმანიიდან ექსპრესიონისტების, დადაისტების, სიურრეალისტების, კუბისტების და სხვა მიმდინარე-

ობათა საუკეთესო წარმომადგენლების ემიგრირება და მთელ მსოფლიოში მათი მიმოფანტვა გამოიწვია. აკრძალულ ხელოვანთა ბედი გაიზიარეს დადაიზმის ისეთმა საკვანძო ფიგურებმაც, როგორებიც იყვნენ ჰანს არპი (1886-1966), კურტ შვიტტერსი (1887-1948) და რაოულ ჰაუსმანი (1886-1971). აღსანიშნავია, რომ ამ სამ ხელოვანს აერთიანებს ერთგვარი ერეტიკულობა თვით ავანგარდის „ორთოდოქსულ“ კონტექსტთან მიმართებაში. მაგალითად, შვიტტერსი სწორედ დადაიზმის „ოფიციალური“, პოლიტიკურად ანგაჟირებული ხაზიდან დისტანცირების გამო „მოიკვეთეს“ 20-იან წლებში ბერლინელმა დადაისტებმა, არპი კი სიცოცხლის ბოლომდე იმით ამაყობდა, რომ მას არ უღალატია დადაიზმისთვის სიურრეალიზმის სასარგებლოდ. ამ ხელოვანებს არც ემიგრანტულ წლებში შეუწყვეტიათ აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა, პირიქით, ავანგარდისტული მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათიდან და ავანგარდული ხელოვნების საკომუნიკაციო ღიაობიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გაინტენსიურდა და მრავალფეროვანი გახდა მათი მხატვრული ექსპერიმენტებიც, საორგანიზაციო აქტივობაც და თეორიული კვლევებიც. ჰანს არპი წარმოშობით ელზასელი იყო და მისთვის გერმანული და ფრანგული ენები მშობლიურ ენობრივ გარემოს წარმოადგენდა, ამიტომ 1940 წელს საფრანგეთში ემიგრირებულმა პოეტმა და მოქანდაკემ არა მხოლოდ გერმანულად ლექსების წერა შეწყვიტა და მხოლოდ ფრანგულად განაგრძო ლექსების წერა, არამედ ეს გააკეთა გამიზნულად, გერმანელების მიმართ პროტესტის ნიშნად. კურტ შვიტტერსს, რომელიც ჯერ ნორვეგიაში (1937), მერე კი ინგლისში (1940) ემიგრირდა, სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ექსპერიმენტულ პოეზიაში მუშაობა, რომელიც რთული ფორმალური ძიებების სიმდიდრით არ ჩამოუვარდებოდა მისი გერმანული პერიოდის შემოქმედებას. რაოულ ჰაუსმანმა კი, რომელიც ემიგრაციის საწყის წლებში შვაიცსა, ჩეხეთსა და საფრანგეთში ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის მერე შინ დაბრუნება უპრობლემოდ შეეძლო, საფრანგეთში ცხოვრება არჩია და იქ განაგრძობდა ექსპერიმენტულ ხელოვნებაში მუშაობას (მათ შორის, ხმოვან პოეზიაში, რომელიც მისთვის არ შემოიფარგლებოდა გერმანული ენობრივი გამოცდილებით). მიუხედავად ამისა, მათი ხელოვანის ინდივიდუალური გამოცდილება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება და შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ პიროვნული განვითარების, ავანგარდიული ხელოვნების სპეციფიკური თავისებურებებისა და კონკრეტული ისტორიული კონტექსტის ურთიერთზემოქმედების საყურადღებო დეტალებს.

ვინაიდან წინამდებარე მოხსენების ფარგლებში შეუძლებელია თანადროულ სოციალურ კონტექსტთან თითოეული ამ ხელოვანის მიმართებისა და სახელოვნებო პრინციპებით გამოწვეული მათი სო-

ციალური ბედის მეტ-ნაკლებად ამომწურავი ანალიზი, ყურადღებას გავამახვილებთ უშუალოდ ავანგარდის ეთიკური და ესთეტიკური პრინციპებით გაპირობებულ რამდენიმე არსებით მომენტზე, რათა უკეთ გამოიკვეთოს როგორც 30-იანი წლების კონკრეტულ ისტორიულ ტოტალიტარულ კონტექსტთან, ისე საერთოდ ნებისმიერ სოციალურ კონტექსტთან ავანგარდისტული ხელოვნების მიმართების ფილოსოფია. ამ მიზნით ჩვენ შევცვლით ისტორიული კონტექსტის ანალიზზე ორიენტირებული ხედვის კუთხეს და აღნიშნული სამი ხელოვანის მაგალითზე შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ რატომ ვერ იქონიებდა მათ შემოქმედებაზე უარყოფით გავლენას ტოტალიტალური ქვეყნიდან ემიგრაცია.

ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა, რომ კლასიკური ავანგარდის ესთეტიკაც და ეთიკაც იმთავითვე საზღვრების გადალახვისა და გაუქმების პროექტად გაფორმდა. შეგვიძლია დავასახელოთ ამ პათოსის ოთხი ძირითადი განზომილება: 1. ესთეტიკური: დადაისტების პირველივე მანიფესტებში პროგრამული ხასიათი შეიძინა ხელოვნების დარგებს შორის საზღვრების ნაშლის მოწოდებამ; 2. სოციალურ-პოლიტიკური: დადაისტების და სიურრეალისტების, ისე, როგორც კლასიკური ავანგარდის სხვა მიმდინარეობათა მანიფესტებში საკრალურსა და პროფანულს შორის განსხვავება გაუქმდა, ხელოვნების ნაწარმოების შექმნა გამოცხადდა ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომად; ამის პარალელურად, ხელოვანმა რევოლუციონერის სტატუსი შეიძინა და სოციალურ კონტექსტთან აქტიური პოზიციის გამომუშავება მოითხოვა, ხელოვნება პოლიტიკური სუბიექტი გახდა; 3. ეთიკური: ავანგარდი, როგორც პანესთეტიკური პროექტი, მოითხოვდა ნებისმიერი სახის დისკრედიტაციის გაუქმებას, მათ შორის, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ ავადმყოფობას შორის საზღვრის ნაშლას და ფსიქიატრიული საავადმყოფოებიდან პაციენტების, როგორც დისკრიმინირებული ადამიანების, გათავისუფლებას; 4. ნაციონალური: ავანგარდი მთლიანად ინტერნაციონალურ თანამოაზრეობაზე იყო დაფუძნებული და პერმანენტულად შლიდა პოლიტიკურ და ნაციონალურ საზღვრებს, სისტემურად იყო ორიენტირებული არა ნაციონალურ, არამედ ინტერნაციონალურ კონტექსტზე.

ერთი სიტყვით, საუკუნის დასაწყისში სრული სოციალური და ესთეტიკური თავისუფლების პროგრამით გამოსული ახალი ხელოვნების გერმანული ფრთა 30-იანი წლებში ისეთი ტოტალიტარული წნეხის ქვეშ აღმოჩნდა, რომლის წინაშეც ან ფორმალური კაპიტულაცია უნდა გამოეცხადებინა და ტოტალიტარიზმის სამსახურში ჩამდგარიყო (ანუ ისე მოქცეულიყო, როგორც უამრავი მოდერნისტი ხელოვანი მოიქცა საბჭოთა კავშირში) ან ქვეყანა დაეტოვებინა.

რა ვითარება იყო ამ დროისთვის გერმანიაში? ან რამდენად მოულოდნელი იყო შექმნილი სიტუაცია?

გერმანელი მკვლევარი და ემიგრანტული ლიტერატურის სპეციალისტი ალექსანდერ შტიფანი აზუსტებს, რომ 1933 წლის 30 იანვარს, როცა პაულ ფონ ჰინდენბურგმა ძალაუფლება ჰიტლერის კაბინეტს გადააბარა, უკვე დაწყებული იყო ის კულტურული პოლიტიკა, რომელმაც ვაიმარის რესპუბლიკაში 30-იან წლებში, უბრალოდ, სისტემური და დასრულებული ხასიათი შეიძინა და ქვეყანაში თავისუფალი სახელოვნებო ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ვინც ნაციონალსოციალისტური პარტიის წევრი ან ნაციისტური ღირებულებების პროპაგანდისტი არ იყო, ის აუცილებლად ღირებულებათა ნგრევის, კულტურის დასასრულის, მასობრივი საზოგადოების აღზევებისა და ქაოსის მაუწყებელი იყო. ცენზურის გამკაცრება, გამომცემელთა შევიწროება, თეატრალური წარმოდგენების აკრძალვა, პრესაზე იერიში – ეს ყველაფერი 1918-1933 წლებშიც არ წარმოადგენდა იშვიათობას. 1933 წლიდან აღნიშნულმა პროცესმა უკვე ინტენსიური ხასიათი მიიღო და ლეგიტიმირებულ სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა (შტიფანი 1979: 21-22).

აღსანიშნავია, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევარი და 30-იანი წლების დასაწყისი საკვება მწერლების, მხატვრებისა და, საერთოდ, ხელოვანთა მიმართ განხორციელებული იურიდიული ღონისძიებებით. მაგალითად, აიკრძალა რემარკის რომანის „დასავლეთში ახალი არაფერია“ საფუძველზე გადაღებული ფილმი, ასევე – ბრეხტის ფილმის „გრილი ლაბაზი“ ნაწილი, კურტ ჰუნის ლექსები. სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწია გეოგრ გროსცს ნამუშევრისთვის „აირწინალიანი ქრისტე“, ასევე – მსახიობ იოზეფ გერტნერს, რომელმაც ერთ საზეიმო საღამოზე რევოლუციური ლექსები წაიკითხა. მხოლოდ 1931 წლის პირველ ნახევარში გერმანიაში 44 კომუნისტური გაზეთი დაიხურა. დროის იგივე მონაკვეთში გაზეთმა სახელწოდებით „მშრომელთა ილუსტრირებული გაზეთი“ ღალატში მხილებული ნ წრედაქტორის ფოტო გამოაქვეყნა. დაიხურა გერმანიის კომუნისტური პარტიის მთავარი ბეჭდვითი ორგანო „წითელი დროშა“.

ერთი სიტყვით, 30-იან წლებისთვის ვაიმარის რესპუბლიკაში ყველაფერი მზად იყო ნაციონალსოციალისტების კულტურული პოლიტიკის გასატარებლად. ამ პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საკუთარი პროგრამის განსახორციელებლად წამოწყებული ბრძოლის პარალელურად თამაშიდან ყველა ძლიერი მოწინააღმდეგის გამოთიშვა. პირველ რიგში, ესენი იყვნენ „ნიჰილიზმის“ გამავრცელებელი მწერლები, „ლიბერალური თავისუფლების“ ადვოკატები და ე. წ. სალონური ბოლშევიკები. ამის მერე მათ იერიში მიიტანეს ებრაული წარ-

მოშობის ყურნალისტებზე და გამომცემლებზე, რომელთა განაპირება მართლდებოდა გერმანული სისხლის დაცვის პოლიტიკით. ეს იყო ის მოტივები, რომლებიც ნაციონალსოციალისტებმა საფუძვლად დაუდეს თავიანთ კულტურულ პოლიტიკას (შტეფანი 1979: 30-31).

1933 წლის 28 თებერვალს, რაიხსთაგის ხანძრის მერე, დაიწყო კომუნისტური ფუნქციონრების, მწერლებისა და ყურნალისტების დაპატიმრება. თავს გაქცევით უშველეს იოჰანეს რ. ბეხერმა, ბერტოლტ ბრეხტმა, ვილი ერის ვაინერტმა და ფრიდრიხ ვოლფმა. მემარცხენე პარტიების გაზეთები, გამომცემლობები, წიგნის მაღაზიები, ყურნალეები გაუქმდა, მოხდა მათი ნაციფიცირება ან იძულების წესით საზღვარგარეთ გატანა. 1933 წლის გაზაფხულზე უკვე ლაპარაკიც შეუძლებელი იყო გერმანიაში კომუნისტურ და სოციალდემოკრატიულ ლიტერატურაზე (შტეფანი 1979: 32).

რეპრესიის მეორე ტალღა შეეხო კულტურპესიმისტურ ლიტერატურას. რაკი ასეთი წიგნების დიდი ნაწილი ან ებრაელ ავტორთა დაწერილი იყო ან — ებრაულ გამომცემელთა მიერ გამოცემული, ნაციონალსოციალისტებმა წმენდის პოლიტიკა რასისტულ საკითხს დაუკავშირეს. ებრაელები და კულტურბოლშევიკები (როგორც ისინი მემარცხენეებს უწოდებდნენ) ნაციონალსოციალისტურ პლატფორმაზე მდგარი პოლიტიკოსების, მწერლებისა და ინტელექტუალების ოპოზიად გამოცხადდა. ლიტერატურა, რომელიც მატერიალიზმის, კლასთა ბრძოლის, დეკადანსის, ომის თემატიზებას ახდენდა, ბიბლიოთეკებიდან და წიგნის მაღაზიებიდან ამოიღეს, მათი ავტორების მიმართ კი განხორციელდა ისეთი ფსიქოლოგიური ზენოლა, რომ ისინი იძულებული ხდებოდნენ, ქვეყანა დაეტოვებინათ (ცალკეულ შემთხვევებში მათ აპატიმრებდნენ კიდევც). ანალოგიური დარტყმის ქვეშ იყო ავანგარდისტული ხელოვნებაც, რომელიც ნაციონალსოციალისტებმა დეგენერირებულ ხელოვნებად გამოაცხადეს (შტეფანი 1979: 32).

აღსანიშნავია აღნიშნულ კონტექსტში ავანგარდის ბედთან დაკავშირებული ერთი გარემოება, რომელზეც ყურადღებას ამახვილებენ ისტორიკოსები. როზამუნდე ნოიგებაუერის გამოანგარიშებით, ნაციისტური გერმანიიდან უშუალოდ ავანგარდისტული ხელოვნების ერთგულების ნიშნით ემიგრირებულ პირთა რიცხვი 20 %-ზე დაბალი იყო, მაშინ, როცა ხელოვანთა გადამწყვეტი უმრავლესობა რასისტული ან პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდა. „გადაგვარებულ“ ხელოვანთა დიდი ნაწილი კი ან შინაგან ემიგრაციაში იმყოფებოდა ან, პირწმინდად პრაგმატული მოსაზრებით, ცდილობდა სტილისტურად მორგებოდა სახელისუფლებო კულტურპოლიტიკურ სტანდარტებს. მკვლევარი აღნიშნავს: „ემიგრაციაში „საკუთარი ნებით“ წავიდა მხოლოდ არაებრაელ ან არაპოლიტიკურ ხელოვანთა შედარებით მცირე რაოდენობა,

მაგალითად, მაქს ბეკმანი, ვასილი კანდინსკი, იოზეფ ალბერსი თუ კურტ შვიტტერსი, რომელთა არა ფიზიკურ არსებობას და სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე, არამედ — სახელოვნებო არსებობას, მათ დიათხოვდნენ სამსახურებიდან, აუკრძალავდნენ პროფესიულ შრომას და გამოფენებში მონაწილეობას და მათ დიფამირებას მოახდენდნენ“ (ნოიგებაუერი 1998: 36).

1933 წელს დააპატიმრეს პოპულარული კომუნისტი ავტორები ვილი ბრედელი, ჰერმან დუნკერი, ეგონ ერვინ კიში, კურტ კლებელი, ბერტა ლასკი, ლუდვიგ რენი, ანა ზეგერსი და კარლ აუგუსტ ვიტტფოგელი. რენის გამოკლებით (რომელსაც სახელმწიფოს ლალატის ბრალდებით ორნახევარი წელი მიესაჯა) ყველა გაათავისუფლეს 1934 წლამდე. ამ ავტორებიდან რამდენიმეს გაათავისუფლების მიზეზი, როგორც შტეფანი აღნიშნავს, მათ უცხოურ მოქალაქეობას უკავშირდებოდა: კირში ჩეხი იყო, ზეგერსის ქმარი — უნგრელი, ზეგერსიც — უნგრეთის მოქალაქე, შპერბერი კი პოლონეთის საელჩოს ჩარევის შედეგად გაათავისუფლდა (შტეფანი 1979: 33).

ხელისუფლებაში ნაციონალსოციალისტების მოსვლისა და, შესაბამისად, მათთვის არასასურველი ადამიანების დევნის, რეპრესიების დაწყებასთან ერთად მსოფლიოს ბევრი ქვეყანა სთავაზობდა ლტოლვილებს თავშესაფარს: ჩეხეთი, ავსტრია, შვაიცია, საფრანგეთი, ბელგეთი, ჰოლანდია. მოქმედი გერმანული პასპორტი საკმარისი იყო ამ ქვეყნებში ლეგალურად თუ არალეგალურად შესასვლელად და იქ დასარჩენად. საბჭოთა კავშირში შესვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ ოფიციალური მონვევის საფუძველზე და მონვეულთა რაოდენობა შემოიფარგლებოდა კომუნისტური პარტიის წევრებით ან კომუნიზმის მხარდამჭერი მწერლებით. ლტოლვილ მწერლებს შეზღუდული რაოდენობით ლეზულობდა ინგლისიც, მაგრამ ვინც იქ შესვლას ახერხებდა, ყოველგვარი ბიუროკრატიული შეზღუდვისგან თავისუფლდებოდა, და ასეთი ვითარება მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე არ შეცვლილა. ანალოგიური ვითარება იყო სკანდინავიის ქვეყნებში, რომლებშიც ლტოლვილებს თანაბრად ანაწილებდნენ. ემიგრირებული გერმანელი მწერლების უმრავლესობა პირველ ხანებში თავშესაფარს ეძებდა საფრანგეთში, რომელიც ახალი დროის დემოკრატიისა და თავისუფლების კუნძულად მიიჩნეოდა. საფრანგეთი ლტოლვილებს იმითაც იზიდავდა, რომ იქ, მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული, ბევრი გერმანელი მწერალი ცხოვრობდა, მათ პარიზსა თუ სამხრეთ საფრანგეთში უკვე თავიანთი პატარ-პატარა ინტელექტუალური წრეები და კოლონიები ჰქონდათ შექმნილი. გერმანიიდან ძირითადად გაედინებოდნენ მემარცხენეები და ებრაელები, ხოლო მასპინძელ ქვეყნებში მათ რეკომენდაციას უწევდნენ აღიარებული ევროპელი ინტელექტუ-

ალები. ოცდაათიან წლებში უკვე არსებობდა გერმანელ მწერალთა მხარდამჭერი გაერთიანება, რომელიც ოფიციალურად 1933 წლის ზაფხულში დაფუძნდა, — მას მერე, როცა 10 მაისს ნაციონალსოციალისტებმა მათთვის არასასურველ ავტორთა წიგნები დაწვეს. 1933 წლის სექტემბერში კი აღნიშნული გაერთიანება ოფიციალურად წარსდგა გერმანელთა და ფრანგთა მეგობრობისადმი მიძღვნილ საღამოზე. დროთა განმავლობაში უამრავი ასეთი გაერთიანება აღმოცენდა და ისინი მეტ-ნაკლებად ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, ომის წლებში კი — წინააღმდეგობის მოძრაობასთანაც, ძირითადად — პოლიტიკური ან პარტიული ნიშნით (კანტოროვიცი 1978: 147-149).

შტეფანი ყურადღებას ამახვილებს ემიგრანტული ლიტერატურის ფუნქციონირებისთვის გამომცემლობების გადამწყვეტ როლზე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ნებისმიერ გარემოებათა ძალით წარმოქმნილი ემიგრანტული ლიტერატურის მნიშვნელობის, გავლენის, ზემოქმედების, ლოკალურ ან გლობალურ ლიტერატურულ პროცესებში ჩართულობის ხარისხს არსებითად განსაზღვრავს ემიგრაციაში მათი გამომცემლების აქტივობა. მათ შეუძლიათ, სულ მცირე, დავიწყებისგან იხსნან დევნილი ავტორები, დაეხმარონ მათ საზოგადოებრივი ყურადღების კვლავ მოპოვებაში, უზრუნველყონ ისინი ფინანსურად. იგივე შეეხებოდა გერმანულენოვან ემიგრანტ მწერლებს. მათ რომ 1933 წლის მერე ამსტერდამში, ციურხში, პრალაში თუ პარიზში გამომცემლები ვერ მოენახათ, ეს ავტორები მნიშვნელობას და რეზონანსს დაკარგავდნენ. ამიტომ, ემიგრანტული ლიტერატურის ისტორია, დიდი ანგარიშით, ემიგრანტული გამომცემლობების ისტორიაც არის. ემიგრაციის პირველ ტალღას გამომცემლობების ინტენსიური დაარსება მოჰყვა. დღესდღეობით აღწერსულია 600-მდე გამომცემლობა, რომელიც მაშინ უცხოეთის ქვეყნებში ემიგრანტულ ლიტერატურას გამოსცემდა. მათ შორის ცენტრალური, დომინირებადი გამომცემლობის დასახელება შეუძლებელია. გამომცემლობების აღნიშნული რაოდენობა ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფდა ემიგრანტი ავტორების, როგორც სწორედ ავტორების, ჩართვას ლიტერატურულ პროცესში (მით უმეტეს, რომ ეს იყო მცირე გამომცემლობები). განსაკუთრებით მწვავედ შეეხო ეს პრობლემა ახალბედა ავტორებს. მაგრამ ისეთი ცნობილი ავტორებიც კი, როგორც, მაგალითად, ელზე ლასკერ-შულერი იყო, იძულებული ხდებოდნენ, თვითგამოცემები განეხორციელებინათ. ბრესტის ხელნაწერები აშშ-ში ფოტოასლების და ტიპოსკრიპტების სახით ცირკულირებდნენ, ერთ დროს ცნობილმა ექსპრესიონისტმა კურტ ჰილერმა თავისი ლექსების წიგნი პეკინში დასტამბა. ოსკარ მარია გრაფი კი აშშ-ში საკუთარ წიგნებს თავად ყიდდა. ცხადია, იყვნენ გამონაკლისებიც. მაგალითად, ფიოხტვანგერის, დიობლინის და რემარკის წიგნები 6-10

ათასიანი ტირაჟითაც კი გამოიცემოდა. ამ გამოცემათა წყალობით ისინი შეძლებულად ცხოვრობდნენ, განსხვავებით, მაგალითად, ბრეხტისგან, რომელმაც აშშ-ში პირველი 6 წლის მანძილზე გამოცემული ვერ მონახა. სიტუაციას ართულებდა ის გარემოებაც, რომ ბევრგან ცხოვრობდნენ ადრეული ემიგრანტი გერმანელები, რომლებიც ჰიტლერის რეჟიმს თანაუგრძობდნენ და არა — ემიგრანტებს. ბევრი მათგანი ეწერებოდა ვერმახტის სამსახურში ან ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა. თვით ევროპისგან მოშორებულ ჰაიფაშიც კი, როცა არნოლდ ცვაიგმა და ვოლფგანგ იოურგრაუმ გერმანულ ენაზე მემარცხენე იდეების გავრცელება დაიწყეს, საგამომცემლო სახლი, რომელთანაც ისინი იყვნენ დაკავშირებული, ააფეთქეს (შტეფანი 1979: 84-85).

ასეთი წნეხის ქვეშ მოხვედრილი ხელოვნების ავანგარდისტული ფრთის სულისკვეთების გასაგებად არსებითია ჩვენს მიერ შესავალშივე აღნიშნული მისი ინტერნაციონალური ხასიათის გათვალისწინება, მაგრამ — ერთი თავისებურების დაზუსტებით: კლასიკური ხელოვნების ინტერნაციონალური მარკერებისგან განსხვავებით, ავანგარდისტული ხელოვნების ინტერნაციონალიზმი პროცესუალურია და აქცენტს სვამს არა დასრულებულ ნაწარმოებზე, არამედ — ხელოვანის, როგორც მედიუმის და როგორც ორგანიზატორის მნიშვნელობაზე, ანუ ავანგარდისტული ხელოვნების სისტემა ფუნქციონირებს, როგორც ხელოვანთა და არა მათ მიერ შექმნილ დასრულებულ ნაწარმოებთა კომუნიკაცია, შესაბამისად, ავანგარდისტი არტისტი, პირველ რიგში, საკუთარი თავის — როგორც ხდომილების — პრეზენტაციას ახდენს; მისი, როგორც რევოლუციონერის მოქმედების მნიშვნელოვნებას და ეფექტიანობას მისივე — როგორც ხელოვნებისა და ცხოვრების ცოცხალი რეპრეზენტატორის — აქტივობა განაპირობებს და არა — მის მიერ შექმნილი არტეფაქტის ავტონომიური ონტოპოეტური სტატუსი. აქ წინა პლანზე გამოდიან აქციონისტი და მისი საკომუნიკაციო თამაშები.

ავანგარდისტული ხელოვნების ინტერნაციონალური საკომუნიკაციო სივრცე უკვე მთელი სპექტრით იყო წარმოდგენილი 10-იან წლებში. გაეისხნოთ: როცა 1916 წელს ციურიხში, კაბარე „ვოლტერში“, დადაიზმის დაბადება აღინიშნა, მისი დამფუძნებლები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან შვაიცში თავმოყრილი ემიგრანტები იყვნენ: ჰუგო ბალი, ტრისტან ტცარა, რიხარდ შიულზენბეკი, ემი ჰენინგსი, მარსელ იანკო, ჰანს არპი და სხვები. ამ სულისკვეთებით გააგრძელა დადაიზმმა არსებობა მომდევნო ათწლეულშიც, ხოლო დადაიზმის ადვოკატები ამ ახალ მიმდინარეობას ისე ავრცელებდნენ თავიანთ ქვეყნებში, როგორც — ახალ სახელოვნებო რელიგიას. დადაისტების რეგიონული დაჯგუფებები მაშინვე გაჩნდა კიოლნში (მაქს ერნსტის გარშემო), ჰანოვერში (შვიტტერსის ჯგუფი), პარიზში (სადაც ის ტრისტან ტცარამ

აამოქმედა), ნიუ იორკში (ემიგრანტების ერთი ჯგუფის თაოსნობით და მეცენატ ვალტერ არენსბერგის მხარდაჭერით; ეს ერთ-ერთი უძლიერესი ჯგუფი იყო, მარსელ დიუშანის, ფრანსის პიკაბიას, მან რეის წარმომადგენლობით). დადაისტების აქტიური დაჯგუფებები შეიქმნა რუსეთში, იტალიასა და იაპონიაში. ბარსელონასა, პრადასა და ზაგრებში მოქმედი დადაისტები ინტენსიურად კომუნიცირებდნენ პარიზულ დადაისტებთან, ითარგმნებოდა მანიფესტები, რომლებიც პროკლამაციებით ვრცელდებოდა.

პოლიტიკურ კონტექსტში დადაიზმის ადგილის არაუწყინარი ბუნების გასააზრებლად უნდა შევნიშნოთ, რომ იგი არ ყოფილა მხოლოდ სახელოვნებო-ესთეტიკური მოვლენა, დადაიზმი იმთავითვე კონციპირებული იყო, როგორც პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც თავისი რადიკალური მანიფესტაციებით კიდევ უფრო ამწვავებდა კონფრონტაციას ტრადიციულ ხელოვნებასთანაც და პოლიტიკურ ძალაუფლებასთანაც. 1921 წელს ჰაუსმანის მიერ აღნიშნული ცნობილი სიტყვები „დადა უფრო მეტია, ვიდრე — დადა“ სწორედ დადაიზმის რევოლუციურ პათოსს და მის პოლიტიკურ ამბიციებს გამოკვეთდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დადაიზმმა გაითვალისწინა ფუტურ-იზმისა და ადრეული ექსპრესიონიზმის გამოცდილება და საერთოდ მოხსნა საკითხი აზრისა და უაზრობის, საზრისისა და მიზნის შესახებ. სხვა მიმდინარეობებისგან განსხვავებით, დადაიზმმა ხელოვნებაში პირველმა დაამკვიდრა და პრაქტიკულად გამოიყენა აზროვნებისა და ქმედების ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც საკუთარ თავს თავადვე აუქმებენ. თუ მაინც არის შესაძლებელი დადაიზმის საბაზისო ინსტრუმენტარზე ლაპარაკი, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინსტრუმენტარის ყველა სტრატეგიული ელემენტი პოლიტიკური ხასიათის მატარებელია: ინტერნაციონალური გეგმარები, ტოტალური პაციფიზმი და ომის წინააღმდეგ ორგანიზებული აქციები, ანტისაზოგადოებრივი მორალი, ყოველგვარი ტრადიციული სოციალური და კულტურული კონვენციონალიზმის უარყოფა, რადიკალური ესთეტიკური პრაქტიკების დანერგვა, მათ შორის საკუთარ საბაზისო სტრუქტურებზე იერიშების ჩათვლით, როგორც არის, მაგალითად, ჰიულზენბეკის ცნობილი ლოზურგი: „ამ (დადაისტური — დ. ბ.) მანიფესტის წინააღმდეგ ყოფნა ნიშნავს დადაისტად ყოფნას“ (ასპოლტი... 1995: 147).

ამრიგად, ავანგარდულის და ტოტალიტარულის შეპირისპირებისას ერთ-ერთი არსებითი ოპოზიციური სეგმენტია ინტერნაციონალური-ნაციისტური, რომელშიც ავტომატურად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე აღმოჩნდნენ ავანგარდისტები, პირველ რიგში კი — მისი ისეთი საკვანძო ფიგურები, როგორებიც არპი, შვიტტერსი და ჰაუსმანი იყვნენ. ამ სამი ხელოვანის გეოგრაფიული გადაადგილების პოეტიკაზე ზოგა-

დი დაკვირვებაც კი, მათი სახელოვნებო ინტერესების და მიზნების გათვალისწინებით, გვარწმუნებს მათი შემოქმედებითი თავისუფლებისთვის ემიგრანტული ცხოვრების უპირობო სიკეთეში (იმ შემთხვევაშიც კი, 30-იანი წლების გერმანიაში მათ ფიზიკურ არსებობას საფრთხე რომ არ დამუქრებოდა).

ჰანს არპი პარიზში პირველად 1900-იან წლებში, თითქმის ყმანვილი, ჟიულიენის აკადემიაში სასწავლებლად ჩავიდა. ამის მერე იგი, პრაქტიკულად, განუწყვეტლივ მოძრაობდა და გადაადგილდებოდა. 1910 წელს არპი შვაიცელ მხატვართა ჯგუფის „Der Moderne Bund“ თანადამმართველი გახდა. 1912 წელს მან მიუნხენში კანდინსკი გაიცნო და „ლურჯი მხედრის“ მეორე მიუნხენურ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. ამავე წელს გაიცნეს ერთმანეთი ბერლინში არპმა და ჰაუსმანმა. 1914 წელს კი არპმა კიოლნში მაქს ერნსტი გაიცნო. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე პარიზს მიაშურა, სადაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აპოლინერთან, ჟაკობთან, პიკასოსთან, რობერტ და სონია დელონებთან, მოდილიანისთან. 1915 წელს ციურიხში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე სოფია ტოიბერი, 1916 წელს კი დადა-მოძრაობა დააფუძნა ტრისტან ტცარასთან, მარსელ იანკოსთან და ჰიულზენბეკთან ერთად და, ამიერიდან, სწორედ როგორც დადა-ხელოვანი, უამრავი აქციის მოთავე თუ მონაწილე იყო. კურტ შვიტტერსი მან 1918 წელს გაიცნო ბერლინში და მასთან წლების განმავლობაში თანამშრომლობდა (მათ ერთად მიიღეს მონაწილეობა 1921 და 1922 წლებში ტარენცსა და ტიროლში ორგანიზებულ აქციებში). ბევრი მომავალი თანააქციონისტი გაიცნო არპმა 1922 წელს ვაიმარში დადაისტების და კონსტრუქციონისტების კონგრესზე ვაიმარში. 1925 წელს მან პარიზში იქირავა ატელიე, თანამშრომლობდა მონდრიანთან და სიურრეალისტებთან, 1926 წელს კი საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო. 1936 წლიდან არპმა ლექსების წერაც დაიწყო ფრანგულად. 1940 წელს ის, მეუღლესთან ერთად, საცხოვრებლად გადავიდა სამხრეთ საფრანგეთში, 1942 წელს — ციურიხში. სოფია ტოიბერი 1943 წელს ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა, არპი კი ომის დასრულებისთანავე საფრანგეთში დაბრუნდა. 40-იანი წლებიდან მისი გადაადგილებისა და მოგზაურობის არეალი გაფართოვდა და მოიცვა აშშ, მექსიკა, საბერძნეთი, ეგვიპტე. ყველა მისი მოგზაურობა კი უკავშირდებოდა ინტერნაციონალურ სახელოვნებო აქციებს და პროექტებს. საერთოდ, არპის, როგორც ახალი ხელოვნების გზისგამკვლავის ავტორიტეტი განუზომლად დიდი იყო. ჰაუსმანი არპისადმი მიძღვნილ, 60-იან წლებში დაწერილ თავის ბრწყინვალე ესსეში აღნიშნავს, რომ არპს ვიტგენშტაინის „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატის“ გამოცემამდე (1921) რამდენიმე წლით ადრე უკვე მიგნებული ჰქონდა ენის ლოგიკისა და

სემიოტიკის ის კანონზომიერებები, რომლებიც ვიტგენშტაინმა შემდგომ ფილოლოგიურად დაამუშავა, და რომ ახალი სემანტიკის, სემიოტიკისა და არტიკულაციის გზის გამკვალავად არპი უნდა ჩაითვალოს და არა ვიტგენშტაინი (ჰაუსმანი 2008: 17).

კურტ შვიტტერსი, როგორც მოდერნისტი, პრაქტიკულად, სწორედ ემიგრანტულ წლებში განხორციელდა. იგი თავიდან იმპრესიონისტული ხელოვნების ადეპტი იყო, 1917 წლის მერე კი მის შემოქმედებაში ექსპრესიონისტული ეტაპი დაიწყო. აქედანვე დაიწყო აბსტრაქტული ხელოვნებისკენ მისი სვლა, და განვითარების უმაღლეს პუნქტსაც, ასევე, ემიგრაციაში მიაღწია. მაგრამ ის ძირითადი ავანგარდისტული მარკერი, რომლითაც შვიტტერსი „ამოიცნობა“, უკვე 1918-1919 წლებში სახეზე იყო. საქმე ეხება მისივე მიერ ნეოლოგიზმით “Merz” მონათლულ სახელოვნებო-საპრეზენტაციო ფორმას. ამ ნეოლოგიზმით მოიხსენიებდა ის ნებისმიერ ტექსტს, იქნებოდა ეს ნახატი, ნანერი, კოლაჟი თუ საგამომცემლო პროექტი, რომელსაც თავად ქმნიდა (აღნიშნული ნეოლოგიზმის იმპულსად და საფუძვლად იქცა ერთი სარეკლამო განცხადებიდან ამოჭრილი სათაურის — “Kommerz und Privatbank” – კოლაჟი). თვით ავტორის განმარტებით, იგი თავის ნამუშევრებს “Merz”-ის სახელწოდებით აერთიანებდა იმიტომ, რომ მათ ვერ მოიაზრებდა ექსპრესიონიზმის, კუბიზმის, ფუტურისმის და სხვა უკვე არსებული იზმების ჩარჩოში. შვიტტერსის მანიფესტირებული მიზანი იყო ხელოვნების ყველა სახეობის გააზრება ერთ სახელოვნებო მთლიანობად, რასაც ის აღნიშნავდა კონსტრუქტით “Merzgesamtkunstwerk”. ის წერდა: „მერცს და მხოლოდ მერცს შეუძლია, ერთხელაც, ჯერაც განუსაზღვრელ მომავალში, მთელი მსოფლიო ერთ ძლევამოსილ ხელოვნების ნაწარმოებად გარდაქმნას“.

შვიტტერსი თავის ტექსტებს გაიაზრებდა, როგორც „აბსტრაქტულ შემოქმედებას“. მან უარი თქვა ლიტერატურული ჟანრების ტრადიციულ კლასიფიკაციაზე და მეტარეფლექსური ელემენტებით ლიტერატურის სისტემური ანექსია განახორციელა. მან აზრის და უაზრობის დიქოტომიის თემატიზება გადაწყვიტა, უაზრობას უპირატესობა მიანიჭა და მიზნად დაისახა უაზრობის მხატვრული რეპრეზენტაცია. მისი ამ მცდელობის ყველაზე უფრო ცნობილი ნიმუშია „ანა ბლუმი“ (1919). თუმცა, მას მერე, რაც „ანა ბლუმზე“ გამანადგურებელი რეცენზიები დაიწერა და ავტორი სულით ავადმყოფადაც კი გამოაცხადეს, შვიტტერსმა დეტალურად განმარტა და დაასაბუთა თავისი მეთოდი და დაწერა შემდგომში არანაკლებ პოპულარული პროზაული ტექსტი სახელწოდებით Auguste Bolte (ein Lebertran), რომელიც 1923 წელს გამოქვეყნდა.

შვიტტერსი ტოტალური პოეტიზმის იდეოლოგი იყო, — მან მოინდომა, ყველაფერი პოეზიად გადაექცია: რიცხვები, ფოტოსურათები, ასოები. შესაბამისად, აქვეყნებდა რიცხვლექსებს, ფოტოლექსებს და ა. შ.

შენიშნულია, რომ 30-იანი წლებიდან შვიტტერსის შემოქმედებაში ექსპერიმენტული ძიებები უკან იხევს და მეტი ყურადღება ექცევა უკვე მიღწეულის ვარიენტებს ან ტრადიციული ფორმებისკენ უკანდახევას. ამის პარალელურად, უკვე ემიგრაციის წლებში, შვიტტერსი ინგლისურად იწყებს წერას.

1933 წლიდან შვიტტერსსაც, როგორც ავანგარდისტს, შეეხო „entartete Kunst“-ის ვერდიქტი. მართალია, ის მუშაობას განაგრძობდა, მაგრამ შეიზღუდა მისი სამოქმედო სივრცე. აეკრძალა გამოფენების მოწყობა, ნიგნების გამოცემა. 1934 წლიდან ქვეყანაში პოლიტიკური და კულტურული სიტუაცია დამძიმდა, ამიტომ 1935 წელს მან შვაიცში ემიგრირების გეგმა მოინიშნა. 1936 წლის დეკემბერში შვიტტერსმა ჯერ თავისი ვაჟი გაგზავნა ნორვეგიაში, 1937 წლის 2 თებერვალს კი თავადაც დატოვა გერმანია და ნორვეგიაში ემიგრირდა, სადაც, როგორც მისი წერილები ადასტურებენ, განიცდიდა შემოქმედებით იზოლაციას, რაც მისთვის აბსტრაქტულ ხელოვნებასთან გამიანურებული არტისტიზმისგან მოწყვეტით ცხოვრებას ნიშნავდა (ამფითეატრი 1991: 96). საერთოდ კი, შვიტტერსს ახალი ხელოვნების სამოთხედ ყოველთვის წარმოედგინა შვაიცი, სადაც მას უამრავი მეგობარი ჰყავდა (ამის შესახებ იხ. (შაუბი 1998)).

1940 წელს, გერმანელებს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, დიდ ბრიტანეთში გადავიდა. აქ ის ინტერნირებული იყო ბრიტანეთის საკონცენტრაციო ბანაკში, როგორც „უცხოელი მტერი“ (ორხარდი 2007: 183), ხოლო 1941 წლიდან ანუ მას მერე, როცა გაათავისუფლეს, ლონდონში ცხოვრობდა, 1945 წლიდან კი – ამბლესიდში. სიცოცხლის ბოლო წლებში კვლავ ინტენსიურად მიუბრუნდა „Merz“-ის კონცეპციას და ჰაუსმანთან ერთად მუშაობდა ჟურნალზე PIN, მაგრამ 1948 წელს გარდაიცვალა და ჟურნალის განახლების პროექტი განუხორციელებელი დარჩა.

რაოულ ჰაუსმანი (1886-1971), ვენაში დაბადებული შტრასბურგულიტალიური წარმოშობის მწერალი, მხატვარი და მოცეკვავე, ბერლინში 1912 წელს გამოჩნდა, სადაც ფუტურისტების გამოფენაში მიიღო მონაწილეობა, 1916 წლიდან კი ანარქისტულ-რადიკალური მიმართულების გამოცემებს და ჯგუფებს დაუმეგობრდა. ომს მან ორი მიზეზით დააღწია თავი: ჩეხური პასპორტით და მხედველობის პრობლემებით. 1917-1918 წლებში ციურიხიდან ბერლინში დაბრუნებულ ჰიულზენბეკთან და ფრანც იუნგთან ერთად „კლუბი დადა“ დააფუძნა და დადა-მოძრაობის ბერლინური ფრთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიურ პოლიტიკურ, სოციალურ და სახელოვნებო ძალად იქცა. ფრანც იუნგის დახმარებით

იგი გაეცნო ანარქისტების თეორიებს და ფსიქოანალიტიკოს ოტო გროსის შრომებს. ჰაუსმანის სარკასტული ტექსტების მთავარ თემებად იქცა დათრგუნული სექსუალობა, ბურჟუაზიული მორალი და გენდერული პრობლემები. მისი ანტიმილიტარისტული პამფლეტები 1920 წელს გამოქვეყნდა სათაურით „ვაშა! ვაშა! ვაშა!“. რადიკალური პოლიტიკური პროტესტის სულისკვეთება მან მალევე გადაიტანა ესთეტიკაში და შეიმუშავა ფოტომონტაჟი, როგორც კოლაჟის სპეციალური ფორმა, ასევე – ფონეტიკურ-ლექსურული ლექსები, რომლებიც ასოების და ხმოვნების თავისუფალი, ყოველგვარ შინაარსს მოკლებული კომბინაციებით იქმნებოდა და ფსევდოსიტყვების მწკრივებს ქმნიდა (ჰუგო ბალის ექსპერიმენტების ანალოგიურად). განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი თანამშრომლობა კურტ შვიტტერსთან, რომელიც ასეთ ექსპერიმენტებს ათიანი წლებიდან მიმართავდა. 1921 წელს ჰაუსმანმა და შვიტტერსმა პრალაში ერთად გამართეს ორი საღამო სახელწოდებით „ანტი-დადა და მერცი“. ჰაუსმანის დადაისტური მისია გულისხმობდა მის ინტენსიურ პრეზენტაციებს, ამიტომ იგი, პრაქტიკულად, ნებისმიერ დადა-ლონისძიებაში ღებულობდა მონაწილეობას. 1919-1920 წლებში ჰაუსმანმა გამოსცა ჟურნალ „Der Dada“-ის სამი ნომერი. იყო 1920 წელს ჩატარებული „პირველი ინტერნაციონალური დადა-მესის“ თანაორგანიზატორი, ასევე – ბევრი სხვა დადა-გამოფენის თანაორგანიზატორი. 1923 წელს იგი კონსტრუქტივისტებს დაუკავშირდა და პერიოდულად იბეჭდებოდა მათ გამოცემებში. ამ დროიდან ჰაუსმანი თანდათანობით ჩამოშორდა დადა-მოძრაობას და აკუსტიკის მეცნიერული შესწავლა დაიწყო. ოპტიკისა და აკუსტიკის დარგში მეცნიერულმა ძიებებმა ის ოპტოფონის შექმნამდე მიიყვანა. აპარატი განკუთვნილი იყო ოპტიკური და აკუსტიკური ფენომენების ერთმანეთში ტრანსფორმირებისთვის. 1930 წელს, ფოტოგრაფიული კვლევების შედეგად, მან შეიმუშავა აქტიური ხედვის თეორია, რომელიც სურათხატების ფორმალური აგების პრინციპებს უკავშირდებოდა.

1933 წელს ჰაუსმანი, პრალის გავლით, ჯერ პარიზში, მერე ბარსელონაში გადავიდა, მალე კი იბიცაზე დასახლდა, სადაც 1936 წლამდე დარჩა. მცირე მოცულობის ტექსტში „ემიგრაციის წლები“ ჰაუსმანი აღნიშნავდა, რომ გერმანია მან ებრაელი მეუღლისა და ებრაელი მეგობარი ქალის მიზეზით დატოვა, კუნძულ იბიცაზე ცხოვრება კი იმდენად იაფი იყო, რომ გერმანიიდან გამოყოლილი მცირე კაპიტალი ცოლ-ქმარს 1934 წლის აგვისტომდე ეყო (კოხი 1994: 18), ამის მერე კი იგი თავს, ძირითადად, ფოტოგრაფიით ირჩენდა. ემიგრაციაში მან განაგრძო არქეოლოგიასა, ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიაში ცოდნის გაღრმავება, ასევე — 1926 წელს დაწყებულ რომანზე მუშაობა (რომელიც 1955 წელს დაასრულა). ჯერ კიდევ 1939 წელს, საფრანგეთში

ყოფნისას, ომის დაწყებისთანავე, ფრანგულმა პოლიციამ მას არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა მისცა: ან ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში გადასულიყო (ასეთი ბანაკები იქ ომის დაწყებისთანავე შეიქმნა) ან, როგორც ჩეხეთის მოქალაქე, ჩეხეთის არმიამი ჩანერილიყო. ჰაუსმანმა მეორე ვარიანტი აირჩია, მაგრამ ცუდი მხედველობის გამო წუნდებული აღმოჩნდა (კოხი 1994: 19). 1944 წელს ციურიხის და პრადის გავლით ის ლიმოგესში ჩავიდა. ომის დასრულების მერე კი დადაიზმის ისტორიის წერას შეუდგა და ნაშრომი 1958 წელს გამოსცა პარიზში.

50-იან წლებში ნეომოდერნისტები (დანიელ შპოერი, ჯასპერ ჯონსი, ვოლფ ვოსტელი, ფრიდერიკე მაირიოკერი, ერნსტ იანდლი) აქტიურად ცდილობდნენ ჰაუსმანთან კონტაქტის დამყარებას, მაგრამ ჰაუსმანს მიაჩნდა, რომ ახალმა დრომ მისი ისტორიული დამსახურება სათანადოდ არ დააფასა. მიუხედავად იმისა, რომ ჰაუსმანის დამსახურება აღიარებული იყო და მასალის — ხმის, ბგერის, ასონიშნის და სურათის — როგორც მგრძნობელობის თაურელემენტების მიზნობრივი ფენომენების მისმიერი გადაწყვეტები სანიმუშოდ მიიჩნეოდა, ჰაუსმანი გარკვეულწილად მართალი იყო. ადელჰაიდ კოხმა ტერმინი „(არ)რეცეპციის ისტორიაც“ კი შემოიღო ჰაუსმანის მიმართ კრიტიკის მიმართების აღსაწერად. შექმნილი ვითარება კი ერთის მხრივ ჰაუსმანის რთული ხასიათით აიხსნება, მეორეს მხრივ — ხელოვნების სხვადასხვა დარგის გადაკვეთაზე მისი მოძრაობით, რაც გარკვეულ დრომდე ართულებდა მისი ნაშრომების კლასიფიცირებას. 1970-იანი წლების მერე ვითარება შეიცვალა და ჰაუსმანის ნამუშევრების გამოფენების, მისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმების მერე კლასიკური მოდერნის წინაშე მისი დამსახურებაც უკეთ გამოიკვეთა. ინტერსადისციპლინო კვლევების გაინტენსიურებამ კი ჰაუსმანის ნაშრომებთან დიალოგშიც შეიტანა დადებითი ცვლილებები. საზღვრების გადალახვის ეს დაუოკებელი სწრაფვა ჰაუსმანის პიროვნული ხასიათის ერთი მთავარი ელემენტი იყო. აღსანიშნავია, რომ იგი ყოველთვის ირონიით აზუსტებდა თავისი ნაციონალური იდენტობის პირობითობას. 1966 წელს ერთ თავის მეგობარს სწერდა: „ავსტრიელი მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ შემთხვევით ვენაში დავიბადე. ჩემს წინაპრებს შორის მოიპოვებთან ჩეხი, მორავიელი, იტალიელი და ელზასელი, თავად მე ჩემს თავს ევროპელად აღვიქვამ“ (კოხი 1994: 20).

ავსტრიელმა მწერალმა ალფრედ კოლერიჩმა ჰაუსმანის ავსტრიული იდენტობის პრობლემა მთლიანად კულტურულ-სოციალურ ჭრილში გარდატეხა და მისმა საგულისხმო ინტერპრეტაციამ ასეთი სახე მიიღო: „მიუხედავად იმისა, რომ იგი (ჰაუსმანი, — დ. ბ.) ავსტრიელია, მას ჭეშმარიტებისთვის არ უღალატია. ის იმ იშვიათ ავსტრიელთა შორის არის, ვინც ეს მოახერხა. ამიტომაც არ ცხოვრობდა იგი ავსტრიაში და ამიტომაც დაივიწყა იგი ავსტრიამ“ (ერლჰოფი 1982: 242).

ამრიგად, გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ისტორიული ავანგარდის პოლიტიკური და ესთეტიკური პლატფორმა ამომწურავად იყო მანიფესტირებულიც და პრაქტიკული აქციებით განმტკიცებულიც. შესაბამისად, არავითარი იმედი, რომ ნაციონალსოციალისტების გერმანიაში შვიტტერსს, ჰაუსმანს და არპს თავისუფლად მუშაობის და ავანგარდისტული ქმედებების შესაძლებლობა ექნებოდათ, არ არსებობდა. ხოლო მათ მიერ უკვე შექმნილი და გამოქვეყნებული, ასევე ხელმწიერი მანიფესტების შინაარსები მათი გასამართლების რისკსაც ზრდიდა. მაგრამ ამ რისკის გაუთვალისწინებლად, გერმანიაში მათი დარჩენა აუცილებლად იქნებოდა საკომუნიკაციო და შემოქმედებით იზოლაციაზე თანხმობა, ვინაიდან სახელოვნებო ავანგარდი თუ რამეს გამოიცილავს, პირველ რიგში — კაბინეტური, ჩაკეტილი ტექსტების კულტურას, მით უმეტეს — კონფორმისტულ გარემოში. ეს სამი ხელოვანი კი არათუ კონფორმისტი არ იყო, არამედ, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, თვით ავანგარდის შიდა კონტექსტების მიმართაც პრობლემატური კომუნიკაციების სიუხვით გამოირჩეოდა. შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ სამივე ეს ხელოვანი, ეკონომიური პრობლემების მიუხედავად, ემიგრაციაში თავს ბუნებრივ შემოქმედებით გარემოში გრძნობდა და, პრაქტიკულად, დაუბრკოლებლად აგრძელებდა XX საუკუნის პირველ მეოთხედში აღებულ კურსს ტოტალური პოლილოგიური კონტექსტის შესაქმნელად. გარკვეულწილად, სხვებთან ერთად, მათი დამსახურებაც იყო ავანგარდისტული ხელოვნების გავრცელება საერთაშორისო კონტექსტში. ჩვენს მიერ უკვე ციტირებული ნოიგებაუერი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას ერთის მხრივ, ემიგრანტი ავანგარდისტების მიერ მთელ მსოფლიოში კლასიკური ავანგარდის განვითარებაში შეტანილ წვლილზე, მეორეს მხრივ კი იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომ არაერთი ხელოვანი, რომელსაც გერმანიაში ავანგარდისტულ ხელოვნებასთან კავშირი არ ჰქონია, სწორედ ემიგრაციის წლებში ჩამოყალიბდა კლასიკური მოდერნის პროტაგონისტად (ნოიგებაუერი 1998: 37).

დამოწმებანი:

ამფითეატრი 1991: *Amphiteater 18/19. Kurt Schwitters Herzscherzen*. Echternach 1991.

ასპოლტი... 1995: Asholt W., Walter Fähnders (Hg.). *Manifeste und Proklamationen der europäischen Avantgarde (1909-1938)*. Metzler Verlag, Stuttgart/Waimar: 1995.

* არპის, შვიტტერსის და ჰაუსმანის შესახებ წინამდებარე მოხსენებაში დამოწმებული ბიოგრაფიული მონაცემები, როცა წყარო არ გვაქვს საგანგებოდ მითითებული, ამოღებულია შემდეგი გამოცემებიდან: Killy Literaturlexikon. Band 1. S. 226. Berlin/Boston 2008 (არპის შესახებ); Killy Literaturlexikon. Band 5. S. 94-96. Berlin/New York 2009 (ჰაუსმანის შესახებ); Killy Literaturlexikon. Band 10. S. 696-698. Berlin/Boston 2011 (შვიტტერსის შესახებ).

ერლჰოფი 1982: Erlhoff M. *Raoul Hausmann, Dadasoph*. Verlag Zweitschrift, Hannover 1982.

კანტოროვიცი 1978: Alfred Kantorowicz; *Politik und Literatur im Exil*. Hans Christians Verlag, Hamburg 1978.

კოხი 1994: Adelheid Koch, *Ich bin immerhin der grösste Experimentator Österreichs*. Haymon-Verlag, Innsbruck 1994.

ნოიგებაუერი 1998: Neugebauer Rosamunde, *Avantgarde im Exil? // Exilforschung. Ein internationales Jahrbuch*, Band 16. Exil und Avantgarden. Edition text+kritik, München 1998.

ორხარდი 2007: Karin Orchard, Isabel Schulz (Hg.). *Merzgebiete. Kurt Schwitters und seine Freunde*. Sprengel Museum, Hannover 2007.

შტეფანი 1979: Alexander Stephan. *Die deutsche Exilliteratur 1933-1945*. C. H. Beck Verlag, München 1979.

შაუბი 1998: Gerhard Schaub, *Kurt Schwitters und die „andere“ Schweiz*. Fannei und Walz, Berlin 1998.

ჰაუსმანი 2008: Raoul Hausmann, *Hans/Jean Arp*. Belleville Verlag, München 2008.

LIANA BASHELEISHVILI

Russia, Moscow

Lomonosov Moscow State University

Vladislav Khodasevich — an Emigrant in the Homeland and a Homeland in Exile

This article analyses problems of identity and belonging / not belonging to the titular nation on the example of the Russian Empire. Language, memory or genetics? How a poet defines his identity in native land and in exile, and how he conveys his inner feelings through a form and magic of words.

Key ords: *Khodasevich, homeland, immigration, identity*

ლიანა ბაშელეიშვილი

რუსეთი, მოსკოვი

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვლადისლავ ხოდასევიჩი — ემიგრანტი სამშობლოში და სამშობლო ემიგრაციაში

რუსულ იმპერიულ ოიკუმენას ადამიანთა ეთნიკური იდენტიფიკაციის და იმპერიულ სივრცეში ინტეგრაციის რამდენიმე აპრობირებული მეთოდი ჰქონდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სარწმუნოების ერთობა იმ პარადიგმაში უკანასკნელ როლს თამაშობდა

და რუსი ეთნოგრაფის ველიჩკოს თქმით, ყველაზე წამგებნიანც კი იყო. ვლადისლავ ფელიციანის ძე ხოდასევიჩი (1886-1939) რუსული ემიგრანტული ლიტერატურის შესანიშნავი წარმომადგენელი, ვ.ნაბოკოვის (1899-1997) შეფასებით, თანამედროვეობის დიდი რუსი პოეტი, (ვ.ნაბოკოვი 1998) მამით პოლონელთა შლიახტის, ხოლო დედით გაკათოლიკებული ებრაელის მემკვიდრე იყო მინსკიდან. იგი არც მართლმადიდებელი გახლდათ. მან დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო მგზნებარე კათოლიკური სული და პოლონური ენა. „ღმერთი, პოლონეთი და მიცკევიჩი“ — ეს სამი რამ, «იდუმალი, გაუგებარი, მაგრამ ძვირფასი» (ხოდასევიჩი 2009-2013.) არის ის, რამაც განსაზღვრა ხოდასევიჩის იდენტობა. მეორე მხრივ, რუსული ენა, რომელიც პოეტისათვის იყო „სამშობლო მოთავსებული პუშკინის რვა ტომში“.

ხოდასევიჩი საკუთარ თავს იმ ობობას ადარებდა, „რომელიც ჯვრის სახითაა დატვიფრული, ოღონდ თავად არაფერი უწყის ამ ტვიფრის შესახებ“ (ხოდასევიჩი 2009-2013).

Я родился в Москве. Я дыма
Над польской кровлей не видал,
И ладанки с землей родимой
Мне мой отец не завещал.

России – пасынок, а Польше –
Не знаю сам, кто Польше я.
Но: восемь томиков, не больше, –
И в них вся родина моя.

Вам – под ярмо ль подставить выю
Иль жить в изгнании, в тоске.
А я с собой свою Россию
В дорожном уношу мешке.

Вам нужен прах отчизны грубый,
А я где б ни был – шепчут мне
Арапские святые губы
О небывалой стороне.

12 февраля 1917, 2 марта 1922

რუსეთის გერი — ასე აღიქვამდა ხოდასევიჩი საკუთარ თავს, ხოლო პოლონეთისათვის ვინ იყო თავად? არარსებული შვილი? ამ კითხვაზე პასუხი მას მთელი ცხოვრება აწვალებდა. ხოდასევიჩი სევას ტრფიალი კოპერნიკის მიმართ თითქოსდა მან მემკვიდრეობით მიიღო პაპის დახატულ სურათთან ერთად, რასაც იგი შესანიშნავად აღწერს თავის მემუარებში „ბავშვობის“ შესახებ. კოპერნიკის სურათი ხომ კრებითი

პოლონეთია და პოლონეთის სახე, ამიტომაც დაურიგა პაპამ იგი თავის შვილებს, რათა არ დავინწყებოდათ საკუთარი ფესვები.

გარდა პოლონური ეთნიკური მუხტისა, ვლადისლავ ფელიცინის ძე საკუთარ ებრაულ იდენტობასაც უზღვდა ხარკს. მას ეკუთვნის მართლაც რომ დიდებული თარგმანები ებრაული პოეზიისა რუსულ ენაზე. განსხვავებით მისი პაპისაგან, დედის მხრივ, ებრაელთა მოძულე ლიტერატორ იაკობ ბაფერისაგან, ვლადისლავ ხოდასევიჩი შორს გახლდათ იუდეოფობიის ნებისმიერი გამოვლინებისგან, უფრო მეტიც, მას იგი სამარცხვინოდ მიიჩნევდა, ისე როგორც ნებისმიერ ფობიას, რომელიც ადამიანს აიძულებს ცხოვრების გერად იგრძნოს თავი. როგორ არიგებდა თავის სულში ორ ერთმანეთთან მოურიგებელ იდენტობას — ებრაულსა და პოლონურს, პოეტი?! ლევ ანინსკი, შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე და ლიტერატურის კრიტიკოსი, რომელმაც ხოდასევიჩის შემოქმედებას მიუძღვნა მშვენიერი ანალიზი — «Владислав Ходасевич: Так нежно ненавижу и так язвительно люблю», წერს: „ვერც ჯვარცმა და ვერც თანალმოზა ვერ შევლის ადამიანს ამ წუთისოფელში. რუსეთის ორი დევნილი ხალხის, ებრაელებისა და პოლონელების შვილი — არა მხოლოდ მათ სისხლს იღრვეს თავის ძარღვებში, არამედ იგი აერთებს საკუთარ თავში მათ კარგად გაცნობიერებულ დაწყევლილობასაც“ (ანინსკი 2009). ორმაგი უმკვიდრობის განცდა ისევე ანინსკი: „ხოდასევიჩის თარგმანებში კრასინსკი და მიცკევიცი კულტურულად თანაარსებობენ ჩერნიახოვსკისა და ფიხმანის გვერდით, მაგრამ პოეტის სულში ეს საწყისები არც თუ მშვიდობიანად ვანდებიან: ისტორია არ აძლევს მათ ამის საშუალებას“ (ლევ ანინსკი 2009).

На новом, радостном пути,
Поляк, не унижай еврея!
Ты был, как он, ты стал сильнее
Своё минувшее в нём чти.

1915

1914 წლის 9 ნოემბერს პოეტი წერდა ბორის სადოვსკის: «Мы, поляки, кажется, уже немного, режем нас, евреев» (ანინსკი 2009). პოლონელიც, ებრაელიც, რუსიც?!

ვლადისლავ ხოდასევიჩი არც კი ირგებდა წინასწარმეტყველისა და ქადაგის მანტიას, როგორც მისი თაობის რუს პოეტთა უმრავლესობა. დროის ზეამოცანა ისეთი გახლდათ, რომ პოეტი ქადაგი და ტრიბუნი უნდა ყოფილიყო — ხოლო ხელოვნება პოლიტიკის დამხმარე და საყრდენი. ხოდასევიჩს ორფეოსობა სურდა, იგი, ქართული ტროპი რომ მოვიშველიოთ, არც ცდილობდა საკუთრთხვევლის მსახურებასა და წინასწარმეტყველობას. გამომდინარე მისი იდენტობიდან, პოეტი

ვერ შთანთქა პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ და რევოლუციის ქარტეხილებმა, სხვა რუს ხელოვანთა დარად (რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ დრო არ იგრძნობოდეს მის პოეზიაში). მოცემულ დისკურსში პოეზია ყოველთვის წაგებული რჩებოდა. მხატვრული გემოვნება კი ჩლუნგდებოდა. წმინდა ხელოვნების თეორიაც ვერ აძლევდა პოეტს თავისუფლებას. ხოდასევიჩს კი სურდა ყოფილიყო გმირი თავისი შეხედულებისამებრ და მაშინ „როცა ამას თავად მოისურვებდა — აღნიშნავენ მისი პოეტური მემკვიდრეობის მკვლევარნი. იგი არ უმღეროდა რევოლუციას, ვერ და არ თანაუგრძნობდა მხარეებს, არც ებრალებოდა ისინი.

ხოდასევიჩი არ იყო ძლეული ლექსისაგან ისე, როგორც მისი თანამედროვე პოეტები ვერცხლის ეპოქისა. იგი უპირველესად დიდებული ლიტერატორი გახლდათ, სწორედ ამან შეუნარჩუნა ღირსება მას მაშინ, როცა პოეტურმა მუზამ მიატოვა იგი. «Здесь не могу, не могу, не могу жить и писать, там не могу, не могу, не могу жить и писать». ბევრი მისი თანამოკალმის ტრაგედია სწორედ ის გახლდათ, რომ ემიგრაციაში მათ ვეღარ მოუხმეს პოეტურ მუზას, ხოლო ლიტერატორობა ვერ შეძლეს სხვადასხვა მიზეზთა გამო.

რაც შეეხება სამშობლოს განცდას, რომელიც ხოდასევიჩმა პუშკინის რვა ტომში მოათავსა და ჩაატია, იგი მძაფრდება რევოლუციის შემდეგ პერიოდში. პოეტი ბიბლიური ქვეტექსტებით დატვირთულ კრებულს „მარცვლის გზით“ (1920) (ხოდასევიჩი 2009-2013) სთავაზობს მის მკითხველს. სამშობლოსა და სულის გზა ერთია და იგი ღვთაებრივ კანონს ემორჩილება. ეს გზა სიკვდილის მეშვეობით განახლების და აღორძინების გზაა. დინჯია და ნაფიქრი პოეტის სტრიქონები. ხოდასევიჩი არ არის შემსჭვალული რუსულ მესიანურ იდეებთან სამყაროს ხსნისა და სხვა ხალხების „გაბედნიერების“ შესახებ. რევოლუციასაც იგი სტოიკური სიმშვიდით შეხვდა.

Так и душа моя идёт путём зерна:
Сойдя во мрак, умрёт – и оживёт она.

И ты, моя страна, и ты, её народ,
Умрёшь и оживёшь, пройдя сквозь этот год, –

Затем, что мудрость нам единая дана:
Всеми живущему идти путём зерна.

1917

იმპერიებს ცხოვრების საკუთარი კანონები აქვთ. მას სჭირდებათ ნიჭიერი ხალხი, რომელსაც იყენებს საშენ მასალად. იმპერია ხშირად არად აგდებათ ეთნიკურ კუთვნილებასა და აღმსარებლობას. ახმატოვას

თათრული ფესვები ჰქონდა, ბალტრუშაიტისი (1873-1944) ლიტველი გახლდათ, მარიეტა შაგინიანი — სომეხი, (1888-1982) მანდელშტამი (1891-1938) და პასტერნაკი (1890-1960) — ებრაელები, მაგრამ ყველას იდენტობას განსაზღვრავდა რუსული ენის უდიდესი სიყვარული და რუსული კულტურის სამსახური. ეს იყო და იქნება რუსული, თუნდაც ტრანსფორმირებული იმპერიის მთავარი მახასიათებელი, მისი განმსაზღვრელი ნიშანი. რამდენად აკმაყოფილებდა ხოდასევიჩი ამ მოთხოვნებს, თავად განსაჯეთ, როცა წერდა:

Не матерью, но тульской крестьянкой
Еленой Кузиной я выкормлен. Она
Свивальники мне грела над лежанкой,
Крестила на ночь от дурного сна.

...

И вот, Россия, «громкая держава»,
Её сосцы губами теребя,
Я высосал мучительное право
Тебя любить и проклинать тебя.

12 февраля 1917

მიუხედავად მისი პოლონური იდენტობისა და საკუთარი თავის გერად აღქმისა რუსეთში, სავსებით ცხადია მისი პოზიცია, რადგან იმავდროულად იგი რუსიცაა, რუსული რძით და რუსული სიტყვით გამოკვებილი და დაფრთიანებული. გერიც ოჯახის წევრია და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული თუ რა პატივს მიაგებენ მას ოჯახში. შესაძლოა საკუთარ შვილსაც კი ამჯობინონ.

როდესაც ხოდასევიჩის პოეზიაზე ვსაუბრობთ ზემოთხსენებული დისკურსით, უნდა გვახსოვდეს, რომ პოეზიის ანალიზი პოეტის ცხოვრებიდან რაღაც ფაქტებზე დაყრდნობით, ან კიდევ ისტორიული ფონის გათვალისწინებით ყოვლად დაუშვებელია. პირადად ჩვენთვის მიუღებელია გენეტიკური სკოლის პრინციპები. «პოეტის ბიოგრაფია უნდა დარჩეს ლიტერატურის კრიტიკოსის შემოქმედების მიღმა» (შტაიგერი 1956: 146). პოეტური ქმნილება უშუალოდ და ხელშესახებად არ უკავშირდება მისი შემქმნელის ცხოვრებას.

გამონაკლისი მხოლოდ მაშინ შეიძლება დავუშვათ, თუ თავად შემოქმედი საკუთარ ლექსებში საუბრობს მათზე და ამ საუბარს უკავშირებს თავის კრედოს. ის, რაც ცნობილია ხოდასევიჩის მემუერებიდან, რევოლუციის და მოსკოვური ცხოვრების კომპარი, აღწერილი „თეთრ კორიდორში“, „ვაჭრობასა“ და „ფსკოვში“, „პორხოვს გამგზავრებაში“, „ლიტერატორთა საერთო საცხოვრებელსა“ თუ „საუზმე სორენტოში“ (ხოდასევიჩი 1980:) საერთოდ არ იგრძნობა ხოდასევიჩის იმდროინდელ პოეტურ კრებულებში. გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ „მარცვ-

ლის გზით“, რომელშიც პოეტი ქვეყნის სიკვდილსა და გარდაცვალებაზე ბიბლიური იგავის მოხმობით გვესაუბრება. ეგაა და ეგ.

და მაინც, რომელი ისტორიული ფაქტები უნდა გაითვალისწინოს კომენტატორმა როცა კონკრეტულ პოეტზე საუბრობს? კროჩე ამ კითხვას ასე პასუხობდა „ნებისმიერი ფაქტი შესაძლოა აღმოჩნდეს აუცილებელი, მაგრამ არ არსებობს ისეთი, რომლის გარეშეც საქმეს არ მოევლებოდეს“ (კროჩე 1926: 27). ბიოკიც ისტორიულ – შედარებით მეთოდს განმარტების ოთხი გზიდან ერთ-ერთად მიიჩნევდა (ბიოკი 1877: 119). ამგვარი მიდგომა ხშირად იწვევს იმას, რომ მკვლევარი მხატვრულ ქმნილებაში ეძებს იმ საზრისს, რაც დაკავშირებულია რეალურ ფაქტებთან. შესაძლოა მხატვრული ქმნილების ტექსტი ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ სიმართლეს და გარემოებებს, რომელიც პოეტური ქმნილების შექმნის დროს უკავშირდება. ლექსი „პეტერბურგი“ მხოლოდ ამ პოზიციების გათვალისწინებით შეიძლება განვიხილოთ.

Напастям жалким и однообразным
Там предавались до потери сил.
Один лишь я полуживым соблазном
Средь озабоченных ходил.

Смотрели на меня — и забывали
Клокочущие чайники свои;
На печках валенки сгорали;
Все слушали стихи мои.

А мне тогда в тьме гробовой, российской,
Являлась вестница в цветах,
И лад открылся музыкальный
Мне в сногшибательных ветрах.

И я безумел от видений,
Когда чрез ледяной канал,
Скользя с обломанных ступеней,
Треску зловонную таскал,

И каждый стих гоня сквозь прозу,
Выхивая каждую строку,
Привил-таки классическую розу
К советскому дичку.

12 декабря 1925

ისტორიულ მოვლენათა შეფარული რიგი ისეა პოეტურ სახეებში განსხვავებული, რომ არავითარი საჭიროება ისტორიული ქვეყნობის

ბისა და ლექსის ერთმანეთთან „მორიგებისა“ აღარ არსებობს. პოეზია კი, მ. ჰაიდეგერის განმარტებით, ყოფიერების სიტყვიერი წარმოდგენაა — „*worthafte Stiftung des Seins*“. ხოდასევიჩის პოეზიასა და პროზაში ეს პრეზენტაცია ყოფისა სახეზეა. იგი შეიძლება გამრავალფეროვნდეს ნაწყვეტებით მისივე მემუარებიდან, როცა პეტერბურგის ბაზარზე ხოდასევიჩი და ანა ახმატოვა ბარათებით მიღებული ე. წ. „პაიოკს“ ყიდდნენ, რათა როგორმე კარაქი ეყიდათ. ყოფიერების პრეზენტაცია არანაკლებ მთამბეჭდავად ხოდასევიჩის პროზაშია წარმოდგენილი.

„თეთრი დერეფანი“, „გამგზავრება პორხოვში“ ან „ფსკოვში“ გაცლილებით მეტს გვეუბნება რევოლუციის შემდეგდროინდელ სამშობლოზე და იმ მორალურ – ზნეობრივ კატასტროფაზე, ვიდრე თუნდაც მისი ლექსები, რომელშიც იგი ხან ირონიულ, ხან კიდევ სარკასტული განწყობით ან სიყვარულზე ან თავისუფლებაზე, ან პოეზიაზე გვესაუბრება. პოეზიას ნაკლებად აღელვებს საგანი, იგი ფორმის მაგიას ემორჩილება განსხვავებით პროზისაგან. ის რაც პოეზიაში არ იკვეთება, ბრწყინვალედ ვლინდება ხოდასევიჩის პროზაში. ბევრისმეტყველია იმ კომუნისტ ცოლ — ქმრის სახე, რომლებთანაც დაქანცულმა და არაქათგამოცლილმა ხოდასევიჩმა, რომელსაც უკან დასაბრუნებელი ბილეთის აღების უფლება არ ჰქონდა, პროვინციაში ღამე გაათია: «За два года они не удосужились обзавестись ни бельём, ни кроватями, ни даже парой стаканов. И это не от бедности, коммунист мог легко всё раздобыть, но от своеобразного социалистического аскетизма, который сродни обыкновенному свинству...» (ხოდასევიჩი 1980: 154). იმდროინდელი სამშობლოსა და მის მცხოვრებთა ტრანსფორმაცია თუ მეტამორფოზა, დეტალებშია განფენილი, რომლის უბადლოა ოსტატია ხოდასევიჩი. აი, მისი საუბარი ვინმე დიაკვანთან: «Ах, Марья Сергеевна! – сказал он. – Что за девушка! Что за невеста! Красоты неопикуемой и не ест ничего!» (ხოდასევიჩი 1980: 156). მთავარი ღირსება სარძლოსი და მახასიათებელი მთელი ეპოქისა საბრალო ღვთისმსახურის ბოლო ფრაზაა.

მოსკოვისა და პეტერბურგის მწერალთა კავშირების დარბევის შემდეგ, რომლის ინიციატორები ზინოვიევი და კამენევი გახლდნენ, ემიგრანტთა რიგები განუხრელად იზრდება. აშკარა პოლტიკურ რეპრესიებს ლიტერატორებს შორისაც ჰყავდათ ადვოკატები და ადეპტები. «Многие из нас, не поняв, что потеряли читателя, вообразили, что потеряли свободу» (ხოდასევიჩი 1980: 40) – ციტირებს მარიეტა შაგინიანის სიტყვებს კოლეგებთან დაკავშირებით ხოდასევიჩი და იგონებს, თუ როგორ ქედმაღლურად უსაყვედურა მას მარიეტა შაგინიანმა მაშინ, როცა ლევ გუმილიოვის „პაიოკი“ ხოდასევიჩის მიაკუთვნეს და გუმილიოვი მეცნიერთა სიებში გადაანაცვლეს. ჩვეული ღირსებით და ყოველგვარი კომენტარების გარეშე ვლადისლავ ხოდასევიჩი აღნიშნავს, რომ

მარიეტა შაგინიანი არ შეუწუხებია სინდისს გუმბელიოვის ქვრივი რომ გამოესახლებინა ბინიდან და შიგ თავისი მრავალრიცხოვანი ნათესავები განეთავსებინა. ასეთი სამშობლოც, ასეთი ხალხიც, ერთდროულად უყვარს და ეზიზღება ხოდასევიჩს. რეფრენი მისი შემოქმედებისა: «Я высосал мучительное право, тебя любить и проклинать тебя» სამშობლოს ეკუთვნის — მშიერს, დანგრეულს, საშიშს და იმავდროულად საცოდავს.

იპოვა თუ არა ხოდასევიჩმა სხვა სამშობლო და სიმშვიდე ემიგრაციაში? იგი რუსეთიდან არ გაუსახლებიათ სხვა პოეტთა დარად. ვლადისლავ ფელიციანეს ძეს ლუნაჩარსკის ხელმონერით დაუტოვებია რუსეთი ნინა ბერბეროვასთან ერთად. „ვეროპული ღამე“ ხოდასევიჩის საუკეთესო პოეტურ კრებულთა რიცხვს განეკუთვნება. მიუხედავად დიდი ადაპტაციური რესურსისა, (ენათა ცოდნა, კათოლიკური აღმსარებლობა) ენობრივი და კულტურული კუთვნილებით პოეტი რუსია და რუსად რჩება ევროპაშიც. ასე ხედავს ხოდასევიჩი ბერლინს 1923 წელს შექმნილ ლექსში.

С берлинской улицы
Вверху луна видна.
В берлинских улицах
Людская тень длинна.

Нечеловечий дух,
Нечеловечья речь –
И пёсьи головы
Поверх сутулых плеч.

Дома – как демоны,
Между домами – мрак;
Шерengi демонов,
И между них – сквозняк.

Зелёной точкою
Глядит луна из глаз,
Сухим неистовством
Обуревая нас.

Дневные помыслы,
Дневные души – прочь:
Дневные помыслы
Перешагнули в ночь.

В асфальтном зеркале
Сухой и мутный блеск –
И электрический
Над волосами треск.

Опустошённые,
На перекрестки тьмы,
Как ведьмы, по трое
Тогда выходим мы.

1923

სამისიტყვათშეხამება – «нечеловечья речь»; «нечеловечий дух»; «пёсьи головы» როგორც წესი, არ შეიძლება გამოყენებული იქნას სამშობლოს დასახასიათებლად. ბერლინის ქუჩებში იგი თავს არ გრძნობს სახლში. შინ იგი გერია, ხოლო ემიგრაციაში — უცხო, „სხვა“, რუსული ენობრივი სამყაროს წარმომადგენელი, რომელსაც ბერლინელთა მეტყველება

არაადამიანური ეჩვენება. ხოდასევიჩისათვის კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, ამაღლებული და მშვენიერი, ცინიზმი და სარკაზმი ერთმანეთშია გადახლართული და მისი ლექსებიდან მისი ბიოგრაფიის აღდგენა უსარგებლო საქმიანობაა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელშიც პოეტი ნათლად და არაორაზროვნად ახდენს „ყოფიერების წარმოდგენას“ სიტყვის მაგიის მეშვეობით.

პოეტისათვის სამშობლოს დიდება არაა რუსული იარაღი, არც მოგებული ომები და დამარცხებული მონინააღმდეგენი. დიდება — რუსული პოეტური სიტყვაა, რაც შესანიშნავად ჩანს მის ლექსში: «Не ямбом ли четырёхстопным прославилась она? (1938)

პოეტის სულიერი უდაბნო ევროპაში გამოიკვეთება:

Великая вокруг меня пустыня,
И я – великий в той пустыне постник.
1924-1925

სამშობლო მის იმდროინდელ ლექსებში მაინც არ იძენს მელანქოლიურსა და ელეგიურ ტონებს, ხოდასევიჩის ელეგიური სინაზე მხოლოდ პოლონეთს თუ მიემართება პოეტმა საკუთარი თვალით იხილა და ცივი გონებით აღწერა ის, თუ რა მოსდის რევოლუციის დროს ადამიანს.

Когда шумит мятеж,
Голодный объедается до рвоты,
А сытого (в подвале) рвёт от страха
Вином и желчью, – я засов тяжёлый
Кладу на дверь, чтоб ветер революций
Не разметал моих листов заветных.
1924-1925

ხოდასევიჩი რუსულად წერს ბერლინსა და სააროეში, კოკტებელში. ემიგრაციაში იქმნება „ნეკროპოლი“, „თეთრი დერეფანი“, 430 წერილი და მათ შორის ოთხმოცი პუშკინზე.

ტრავმა, რომელიც ჩვეული გარემოს დატოვებასთან, შიმშილთან, ნგრევასთან, ღირსების შელახვასთან ასოცირდება, შეიძლება დაიძლიოს სრული დავინწყების მექანიზმის ამოქმედებით. ისტორიის ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში, თუ თანამედროვე დიდ მეცნიერს ანკერსმიტს დავესესხებით, „ტრავმის ძლევა და ახალი იდენტობის „მორგება“ სრული დავინწყებითაა შესაძლებელი სრული დავინწყების კატეგორია კი ძალით სიკვდილის ტოლფასია“ (ანკერსმიტი 2007:

443), როგორც ერის, ასევე კერძო პირისათვის. მისი მიღწევაც უდიდეს ძალისხმევას საჭიროებს. ეს ძალისხმევაა სწორედ რომ სიკვდილთან გათანაბრებული. ნებისმიერი ემიგრანტი ნაწილობრივ ივიწყებს წარსულს, აწილობრივი დავიწყება კი ვერ შველის ტრავმას, ამიტომაც შეუძლებელი ხდება მთლიანად ახალი იდენტობის მორგება. ხოდასევიჩიც განაგრძობდა ტრავმასთან თანაცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივად მიაჩნდა სიკვდილი „მარცვლის მსგავსად“, სიკვდილი ახალი ცხოვრებისათვის, ახალი ცხოვრების სახელით. ახალი ცხოვრება კი ლინგვისტურ არჩევანსაც ითხოვდა პოეტისაგან, რომლისთვისაც სამშობლო პუშკინის რვა ტომში ეტეოდა. აბა, როგორ გააკეთებდა იგი არჩევანს?!

ღამოწმებანი:

ანკერსმიტი 2007: Анкерсмит Ф. Р. *Возвышенный исторический опыт*. М.: Издательство «Европа», 2007.

ანინსკი 2009: Анинский Л. А. *Серебро и чернь. Красный век. Эпоха и поэты*. [on lain wigni]. М.: ПрозаиК. 2009. misamarTi. URL: <http://anninsky.ru/index.php/serebroichern/134-vladislavhodasevich.html>

ბიოკი 1877: Boeckh A. *Encyklopaedie und Methodologie Wissenschaften*. Leipzig. 1877.

კროჩე 1926: Croce B. *Die Antinomien der Kunstkritik*, Tübingen 1926.

nabokovi: Набоков В. Отрывки из эссе: О Ходасевиче // *лекции по литературе*. М.: Независимая газета. 1998. მისამართი. URL: <http://www.hodasevich.su/about/nabokov-esse-o-khodaseviche.html>

შტაიგერი 1956: Steiger E. *Die Kunst der Interpretation*. Zürich: 1956.

ხოდასევიჩი 1980: Ходасевич В. Ф. *Избранная проза в двух томах*. N. Y.: Серебряный век. Т. I. 1980. [ონლაინ წიგნი]. მისამართი. URL: <http://www.hodasevich.su/prose/belyi-koridor.html>

ხოდასევიჩი 2009-2013: *О Владиславе Ходасевиче*. «Владислав Ходасевич Собрание сочинении». 2009-2013. Проект литературного общества «Треугольный стол». მისამართი URL: <http://www.hodasevich.su/poems>

ZEINAB KIKVIDZE

Грузия, Кутаиси

Akaki Tsereteli State University

The Idea of Caucasian Identity in Grigol Robakidze's Short Stories

Grigol Robakidze's entire creative work deals with defining of the Georgian reality, of its ethnic mentality. In order to determine the role and place of the Georgian phenomenon within a general humane discourse, he pays particular attention to the Caucasus and presents it as an integral, indivisible area. In the three short stories, the author creates an artistic model, by means of which Caucasian identity has been shaped both for a foreign and a Georgian reader;

Key ords: Gigol Robakidze; Identity; The Caucasus

ზეინაბ კიკვიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კავკასიური იდენტობის იდეა გრიგოლ რობაქიძის ნოველებში

XX საუკუნეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ქართული მწერლობისათვის იქცა ერთგვარ გამოცდად, რომლის ჩაბარებაც უმეტესად მწერალთა ფიზიკური ყოფნა-არყოფნით, საკუთარი მრწამსისა და შეხედულებების უარყოფით, ყალბი აღტაცებისა და ცრუ პათოსის ფრქვევით გამოვლინდა. საბჭოთა სინამდვილე უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. თუმცა, როცა საბჭოეთის იდეოლოგიის მესვეურებმა კარგად გაითავისეს, რომ ლიტერატურა ერთგვარ რუპორად შეიძლება ქცეულიყო, რომელიც საზოგადოებაში ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დანერგავდა არსებულისადმი მხარდაჭერის შეგრძნებას, გადანყვიტეს, ყველა ღონე გამოეყენებინათ, რომ მწერლობა „მოთვინიერებულიყო“. ეს პროცესი კი რევოლუციური ლოზუნგით — „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“ უნდა წარმართულიყო.

შემოქმედებითი სულის ადამიანებისთვის პროტესტის ორივე ფორმა: გაჩუმება ან საკუთარი შეხედულებების აშკარად გამოხატვა, ერთნაირად შეუძლებელი და სახიფათო იყო. შეუძლებელი იმდენად, რამდენადაც მწერალმა თუ საკუთარი მე არ გამოხატა, მხატვრულ სიტყვაში არ გაანივთა თავისივე თავი, მაშინ ის მწერალი აღარაა. ამასთანავე,

პროლეტარიატის დიქტატურის წარმომადგენლებმა კარგად უნყოდნენ, რომ ამ შემთხვევაში დუმილი არ ნიშნავდა თანხმობას; არაფრის თქმაც წინააღმდეგობის კონსტატაციად ითვლებოდა. ამის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ ფილიპე მახარაძის ფრაზა მწერალთა კავშირის სხდომაზე, როცა მან კონსტანტინე გამსახურდიას მიმართა: „თქვენ ისე არ დუმდით, როგორც ეს ჩვენ გვინდოდაო“. საკუთარი პოზიციის დაუდასტურებლობა კი ნიშნავდა მწერლის მიერ საკუთარ შემოქმედებაზე, საერთოდ ლიტერატურაზე უარის თქმას. პროტესტის ორივე ფორმას ავტორი ავბედით იარლიკთან: „ხალხის მტერია“-სთან მიჰყავდა, აქედან კი ერთი ნაბიჯი იყო გადასახლება მდე ან დახვეწება მდე. მაგრამ ქართულმა მწერლობამ დიდი მსხვერპლისა და ძალისხმევის შედეგად მაინც მოახერხა არ ეღალატა საკუთარი გზისთვის და სხვადასხვაგვარი ფორმით გამოვლენილიყო.

დისიდენტური აზრის თავისუფლად გამოთქმის ერთ-ერთი ფორმად ემიგრაციული ლიტერატურა იქცა. მწერლები იძულებული გახდნენ საკუთარი სულიერი და ფიზიკური გადარჩენის მიზნით სხვა ტოპოსში, სხვა ენობრივ სივრცეში გადასახლებულიყვნენ, რათა ნაციონალურ კულტურასთან დისტანციურად მაინც ყოფილიყვნენ ახლოს. მაგრამ ამავე დროს ახალი წინააღმდეგობაც გაჩნდა. მწერალი ცხოვრობდა უცხო ქვეყანაში, განსხვავებული მენტალობის, პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ მსოფლმხედველობის საზოგადოებაში, რომლისთვისაც ის თემატიკა, რაც ახლობელი იყო ქართული ეთნო-ყოფისათვის, შესაძლოა, აბსოლუტურად უცხო და უინტერესო ყოფილიყო. ქართველი ემიგრანტი ავტორების თხზულებების აზრობრივი და გამომსახველობითი პლასტები უცხო ქვეყნის ლიტერატურული დისკურსისათვის შეუთავსებელი ან ნაკლებად თავსებადიც კი აღმოჩენილიყო.

ემიგრანტი მწერლის შემოქმედებითი გზა უნდა გადებულიყო ერთი მხრივ საკუთარი და ეროვნული იდენტობის წარმოჩენაზე, მეორე მხრივ კი იმ ლიტერატურულ გარემოსთან ადაპტაციაზე, რომლის ნაწილიც უნდა გამხდარიყო ავტორი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მწერალს ისეთი კოდი უნდა მოეძებნა, რომელშიც მისი მყოფობის სუბიექტური და ობიექტური ელემენტები გაერთიანდებოდა. ამით ის არ მოსწყდებოდა მშობლიურ ფესვებს და შეიძლება უცხო ლიტერატურულ დისკურსშიც თავის დამკვიდრებას. ასეთ გამაერთიანებელ კოდად გრიგოლ რობაქიძისათვის მითო-პოეტური სახისქმნადობა იქცა.

XX საუკუნის ემიგრანტთა შორის გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა, რომელიც თავისი შემოქმედებით ორგანულად ერწყმის ქართული ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს. მწერლის მთელი შემოქმედება ქართული სინამდვილის, ეთნოსური მენტალობის განსაზღვრას ეხება. მისი თხზულებების ბაზისი კი მითოლოგიური

დისკურსია, რის შესახებაც თვითონ მწერალიც მიუთითებდა წერილში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“: „ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს. ვგულისხმობ მკვლევარს და არა მკითხველს. მკითხველი ხშირად უშუალო განცდით უფრო ღრმად ნვდება რომელიმე ნაწარმოებს, ვიდრე აპარატებით დამძიმებული მკვლევარი“ (რობაქიძე 1996: 81).

მითოსი აღმოჩნდა გრ. რობაქიძისათვის ერთგვარი უნივერსალური გასაღები, რომლითაც შეალო როგორც ქართული ასე ევროპული ლიტერატურის კარები, რადგან მითოსის ნიაღში არსებული მარადიული სახეები, მათი ტრანსფორმაციული პარადიგმები და ეთნოგრაფიულ რიტუალებში გაცოცხლებული დამოკიდებულებები საშუალებას იძლეოდა შორიდან დაკავშირებოდა ქართულ ლიტერატურულ სივრცეს, ხოლო ქართული და კავკასიური რეალობა ეგზოტიკურად და დამაინტრიგებლად მიენვდინა ევროპელი მკითხველისათვის. ემპირიულისა და ტრანსცენდენტულის, ფიზიკურისა და მეტაფიზიკურის, ისტორიულისა და მითოსურის მუდმივი მონაცვლეობითა და ერთმანეთში შერწყმით მწერალი მისწვდა ნაციონალური იდენტობის საწყისს, რაც გოეთეს პირველფენომენისა და ნიცშეს მარადიული დაბრუნების კონცეპტებით გახდა შესაძლებელი.

იმ პერიოდში, როდესაც დაიწერა „კავკასიური ნოველები“, მსოფლიო პოლიტიკური რუკის შეცვლა, ტერიტორიების ხელახალი გადანაწილება მსოფლიოს ახალი თავსატეხი იყო. ზესახელმწიფოთა სურვილებსა და მისწრაფებებს პატარა ქვეყნების ინტერესები უნდა დამორჩილებოდა. ხოლო კავკასიის რეგიონი, როგორც ყოველთვის, ახლაც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ამ ტერიტორიაზე დასახლებულ ხალხს მუდმივად სჭირდებოდა საკუთარ გადარჩენაზე ფიქრი, რადგან ყოველთვის არსებობდა ასიმილირების საფრთხე. ხსნა კი საკუთარი თავის მიგნებაში, იდენტობის ფიქსაციაში უნდა ეძებნა.

მითოსური მსოფლალქმის მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვითაც სამყარო ნაწილებად დაუშლელ მთლიანობად მოიაზრებოდა, განაგრძობდა არსებობას ეთნო-ყოფითი რიტუალების სახით; რიტუალი იყო ის ქმედითი შემკვერელი არსი, რომელიც ვლინდებოდა საკრალურისადმი ერთგულებაში. რწმენას ერწყმოდა ჩვეულება, ორივე ერთად კი აერთიანებდა მოსახლეობას, ავლენდა მათ პიროვნულ მეს, რომელიც არსებობდა თემში, თემი ვლინდებოდა ეთნოსში. ეთნოსის გადარჩენის აუცილებელ პირობად კი საკუთარი იდენტობის გარკვევა და გამყარება იყო.

როდესაც ვსაუბრობთ იდენტობაზე, პირველრიგში უნდა დავაზაუსტოთ რას ვგულისხმობთ მასში. ეს ტერმინი აღნიშნავს პიროვნების არ-

სებით და ძირითად მეობას, ინდივიდის შინაგანი, საკუთარი თავის შესახებ შემუშავებულ სუბიექტურ კონცეფციას. იდენტობა საკუთარი თავის იგივეობის განცდაა. ტერმინი მომდინარეობს ლათინური ფრაზიდან „იდე მ ეტ იდე მ“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ერთსა და იმავეს“. მისი მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს გარკვეულ ტიპოლოგიურ კატეგორიასთან. „იდენტობის მექანიზმი გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური სტრუქტურისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების, გადაცემის პროცესში. კულტურული იდენტობა კი არის ამა თუ იმ ისტორიული ერთობის წევრთა თვითგააზრება ამ ერთობის კულტურის წევრად. ეთნიკური იდენტიფიკაცია საკუთარ ეთნიკურ გარემოსთან ინდივიდის გაიგივების პროცესია, რომელიც მას ამ ეთნოსის ქცევის ნორმებისა და კულტურული ფასეულობების ათვისების შესაძლებლობას აძლევს“ (სოციალურ-პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი 2004:321).

ენტონი სმიტი თავის ნაშრომში „ნაციონალური იდენტობა“ წარმოადგენს იდენტობის განმსაზღვრელ კომპონენტებს. მას მიაჩნია, რომ ისტორიული ტერიტორია ანუ სამშობლო, საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა, ყველა წევრისთვის საერთო სამართლებრივი უფლებამოვალეობანი, საერთო ეკონომიკა ერთობის წევრთათვის ტერიტორიული მობილურობის უზრუნველყოფით ნაციონალური იდენტობის დამადასტურებელია.

კავკასიურ იდენტობაში უნდა ვიგულისხმოთ კავკასიის არეალში მცხოვრებ თემთა გამაერთიანებელი ნიშნისადმი იგივეობრიობა. ამ შემთხვევაში კავკასიის არეალი ერთმანეთისაგან ეთნიკურად განსხვავებული ტომებით დასახლებული ისტორიული ტერიტორიაა, რომელიც ამ ეთნოსთა სამშობლოდ აღიქმება. კავკასიელთა ისტორიულ მეხსიერებას ქმნის ის ურთიერთდამოკიდებულება, რაც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ცალკეულ ტომებს შორის, რომელიც ზოგჯერ მეგობრულ ურთიერთობებში, ზოგჯერ კი ურთიერთსისხლისღვრაში გამოიხატებოდა. რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, კავკასიის თითქმის ყველა ტომს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული ადათი, თუმცა ხშირად მისი ცალკეული წესი უნივერსალური იყო, იმდენად, რამდენადაც იღებდა ზოგადკავკასიურ სახეს. ეს შეიძლება ითქვას სტუმარ-მასპინძლობის, სისხლის აღების, ნადირობის წესებზე. მაგრამ ყველაზე მეტად კავკასიური იდენტობის ნიშნები უნდა ვეძიოთ არა ყოფით დეტალებში, არამედ მენტალურ დამოკიდებულებებში, აზროვნების წესში, რაც საფუძვლად ედება ცნებას „კავკასიელი“, რომელიც იგივედება ვაჟკაცურთან, თავისუფლების სიყვარულთან, ადათის ერთგულებასთან.

გრ. რობაქიძე დეტალურად იკვლევდა ქართველთა ეთნოგენეზის და მიაჩნდა, რომ მითოსი იყო სათავე როგორც ისტორიული პირველსაწყისის, ასევე თანამედროვე რეალობის გამონვლილვით შესაცნობი საშუალება. ყოველგვარ საკრალურს, იქნებოდა ეს საგანი, თუ რიტუალური ქმედება, ეროვნული ფენომენის ძირების წვდომის ატრიბუტად მოიაზრებდა. ამიტომაც ზოგადსაკაცობრიო დისკურსში ქართული ფენომენის როლისა და ადგილის გარკვევისათვის მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კავკასიას და მას წარმოადგენდა როგორც ერთიან, განუყოფელ მთლიან არეალს.

მწერალი ეყრდნობოდა მითოსური მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ ძირითად სენტენციას, რომლის მიხედვით ადამიანთა ერთობა ნაწილებად დაუშლელი მთლიანობაა და ამ მოდელით კავკასიური მენტალობაც ერთიანია, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი საკმაოდ მრავალფეროვანია ეთნოსური სხვადასხვაობის თვალსაზრისით. ამ მხრივ უდავოდ საყურადღებოა „კავკასიური ნოველები“, რომელიც ორჯერ გამოიცა ემიგრაციაში გერმანულ ენაზე – 1932 წელს გამომცემლობა „ინზელის“, ხოლო 1979 წელს — „ზურკამპის“ მიერ. კრებულს, რომელშიც სამი ნოველა იყო შესული, დიდი პოპულარობა ხვდა წილად. ცნობილი მიზეზების გამო, ეს წიგნი საქართველოში არ დაუბეჭდავთ, მაგრამ ქართველ მკითხველს მაინც მიუწვდებოდა ხელი ემიგრანტულ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნებულ ნოველებზე — „ენგადი“ და „იმამ შამილ“, რომელიც მოგვიანებით ლიტერატურულ პერიოდიკაში დაიბეჭდა და დიდი ინტერესი დაიმსახურა. „წმინდა ხარის მოკვლა“ კი დღემდე უცნობი იყო და საგანგებოდ ითარგმნა გერმანულოვანი გამოცემის წინათქმასთან ერთად (გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ).

თავად ავტორი გამოცემის შესახებ წერდა: „ახლახან გამოიცა ჩემი „კავკასიური ნოველები“, რომელშიც კავკასიას, როგორც მთლიანს, თავისთავადს ვხატავ. გასულ წელს თავზარი დამცა უღრმესმა, შინაგანმა შეცნობამ: ადამიანის გული ხორცადქცეული ნაწილია მითითურად გაგლეჯილი ღმერთის. ეს დასკვნა ახლა ჩემთვის ცხოვრებად გადაიქცა“ (რობაქიძე 2013:7).

კავკასიური იდენტობა, მწერლის აზრით, ვლინდება თავისუფლებისადმი უსაზღვრო ლტოლვაში, რაც გამოიხატება ერთი მხრივ ღვთაებრივთან თანაზიარობში, მეორე მხრივ, — იმ ყოფით დეტალებში, რომლითაც ცხადდება საკრალურთან შერწყმა.

მწერალი წინასიტყვაობაში ერთგვარ ექსკურსს აკეთებს, რომ უცხოელი მკითხველი შეამზადოს თავისი ნოველების გასაოცარ წილში შესასვლელად. ის ისეთ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას

(სარწმუნოება, ენა, სიმღერის ფენომენი, წარმომავლობის ადგილი — ქალდეა), რაშიც ეროვნული თვითმყოფადობა იკვეთება. იქმნება განწყობა, რომლის ძალითაც თხზულებებში კავკასიის თავისთავადობა, როგორც საკრალური ფაქტი, ისე უნდა წარმოჩინდეს.

ნოველაში „იმამ შამილ“ ენობრივი ქსოვილის უალრესი ექსპრესიულობით წარმოჩნდება თავისუფლებისმოყვარე კავკასიელთა ვაჟკაცური ბუნება, რომელშიც, როგორც თავად ავტორი ამბობს, სრულიად კავკასიელთა ხასიათია აღბეჭდილი. თხრობის დაძაბული და მაჟორული ტონი მკითხველს არა მხოლოდ აზრობრივად და სახეობრივად შეაგრძნობინებს კავკასიურ შეუდრეკელობას და სულიერ ძლიერებას, არამედ აქცევს მას მის თანაზიარად. მწერალი ახერხებს კავკასიური ფენომენის არსის — თავისუფლების უდიდესი სიყვარულის — მიტანას მკითხველამდე. ავტორს თითქოს ავართა აულებში შეეყვართ. ის არა გარედან, არამედ შიგნიდან გვანახებს კავკასიის გამუდმებულ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. მის გაუტყეხელობას, მუდმივგანახლებას ასულდგმულებს უფალთან თანაზიარობა.

იმისათვის, რომ უცხოელი მკითხველისათვის უფრო ახლობელი გახდეს ჩეჩენთა თავგანწირვა და მასში კავკასიური სულის თვითმყოფადობის შეცნობა, მწერალი რამდენიმე, მსოფლიო ლიტერატურაში შაბლონად ქცეულ სიმბოლოს იყენებს. თხრობა დაისის ულამაზესი სურათით იწყება, ეს ერთგვარი მინიშნებაა, რომ რაც არ უნდა დიდებული იყოს კავკასიელთა შემართება და თავგანწირვა, ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. თითქოს შამილის ძლიერების მზე უნდა ჩაესვენოს. მტერი დიდია და აურაცხელი რესურსი აქვს, ხოლო ჩეჩენთა წინააღმდეგობა უკვე აბსურდული ხდება. თითქოს მოსულა ჟამი ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრისა. ეს აზრი მსჭვალავს ნაიბთა გონებას, თუმცა მის უკუსაგდებად ავტორი მეორე მყარ სიმბოლოს გვთავაზობს — ბავშვების დამოკიდებულებას ბელადის მიმართ. დედის ნათქვამით გადარეული იმამი ველად გავარდება, ის პატარა ბიჭებს ხვდება, რომლებიც ფიზიკურად ვერ ცნობენ მას, მაგრამ იციან, რომ შამილის მომრევი არავინაა. „შამილი შენცა გძლევს“ არის ბავშვის პირით ნათქვამი წმინდა სიტყვა, რომელშიც თითქოს კოსმიური ენერგია იმალება, რომელმაც ბელადს საკუთარი თავის დაძლევისა და გამარჯვების ძალა უნდა აგრძნობინოს. ის უფალს უნდა ეზიაროს, უფლის თანადგომით იპოვოს საკუთარ თავში რუბიკონის გადალახვის ენერგია. მწერალს თხრობაში შემოაქვს მესამე სიმბოლო — უფსკრული, რომლის დაძლევა თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ ის, ვინაც ღმერთი იხილა, ვინაც საკუთარი თავი შეიცნო ბავშვის პირით ნათქვამი ჭეშმარიტებით, უფსკრულსაც გადალახავს, ანუ ძლევს თითქოსდა დაუმარცხებელ მტერს. მაგრამ შამილი

მარტო არ არის, მასთან არიან ის ნაიბები, რომლებიც ნოველის დასაწყისში დაზავების აზრს ურიგდებიან, ფინალში კი მითოსური ერთობის დაუშლელ ნაწილებს განასახიერებენ, რომელთა თავისუფლებისათვის თავგანწირვის მზაობაშიც გამოკრთის კავკასიური იდენტობა.

საკრალური რიტუალებით უზენაესთან თანაზიარობა ხდება „ენგადის“ აპოთეოზი. მისი მთავარი მოქმედი პირი, გიორგი ვალუევი, ნახევრად ქართველია, მაშასადამე, მასში გენეტიკურად უკვე ჩადებულია ერთიან მთელში საკუთრივ მესა და მასთან გაერთიანებული უცხო სერთარსებობა. პიროვნების ასეთი თვისება ორმაგ დატვირთვას სძენს მის სურვილს, გაეცნოს ხევსურებს, მისივე სიტყვით „უსაიდუმლოეს ტომს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიის ტომთა შორის“ (რობაქიძე 2013:31).

მთავარი პერსონაჟი ცდილობს შეიცნოს ხევსურული სული, მაგრამ ეს ერთი ხელის მოსმით, ანუ ერთი ქმედებით ვერ მოხდება. ის უნდა შევიდეს ტომის ერთიანობაში, უფრო სწორად, უნდა გახდეს მითოსური მთელის ნაწილი, სხვაგვარად მისთვის გაუგებარი იქნება ყველა ადათი, რომელიც ესოდენ წმინდა და მნიშვნელოვანია თითოეული ხევსურისათვის. ხახმატის დღესასწაულზე პერსონაჟი ხვდება, რომ ის შინაგანად ვერ გახდა ზიარი, დარჩა მხოლოდ მაყურებელი. შეიგრძნო, რომ „ტომი იყო ერთიანი, მასში გამქრალიყო ცალკეულობა, მონადიმენი ფიზიკური წევრები იყვნენ მხოლოდ ერთი უხილავი მთელისა“. ამ მთელში შესაღწევად საჭიროა კავკასიური თვითმყოფადობის შეგრძნება, მისი განცდა და გათავისება. გიორგი ვალუევი აანალიზებს სწორფრობის რიტუალს და ხვდება, რომ აქ არ არის მრუშობა. ეს რიტუალი ღმერთთან მიახლებისა და მისი შეგრძნების წმინდა გამოხატულებაა. მისი ფესვები უძველეს წარსულში იკარგება და აუცილებლად მოიაზრებს უცხო არსებობას. პერსონაჟიც გრძნობს თავს უცხოდ, ამავე დროს კი ღვთიური არსის თანაზიარად. მისთვის ცხადი ხდება, რომ ხევსურეთს აქვს მხოლოდ ამ არეალისთვის დამახასიათებელი მენტალობა, რომელიც ვლინდება სულიერ სინამდვილეში; აზროვნების წესი უმთავრეს ადგილზე აყენებს პიროვნების შინაგან თავისუფლებას, მთელი თემის თავისუფალი ნებიდან რომ გამომდინარეობს. ხოლო კაცურობის განმსაზღვრელად ვაჟკაცური დამოკიდებულებებია მიჩნეული, რაც ასევე თავის ადგილს იჭერს კავკასიურ იდენტობაში.

მესამე ნოველა „წმინდა ხარის მოკვლა“ სვანების ცხოვრებას შეეხება. მწერალი ამ ტომის თვითმყოფად ბუნებას უძველესი რიტუალებით წარმოადგენს, მურყვამობის დღესასწაულის, „მელიაი ტულეფიას“, სვანური ფერხულის დეტალური აღწერით, ავტორი სვანების თვითმყოფადობას აღმოაჩენს. თემის ერთობა სახიერდება ფერხულში. როგორც

„იმამ შამილში“, აქაც ცეკვაში ცნაურდება თემის ერთიანობა და მითოსური მთლიანობა. ფერხულს საკრალური მნიშვნელობა აქვს, მისი უმთავრესი დანიშნულებაა გამოხატოს ერთობის დამოკიდებულება უზენაესთან. მონანილეთა შეწყობილი ქმედება ორმაგ დატვირთვას იძენს, პირველი, გამოავლინოს თავისი მონივნება ღერმეთისადმი და მეორე, დააფიქსიროს რასის ხასიათი. ამ ეპიზოდით გრ. რობაქიძე ერთგვარად შეამზადებს მკითველს, რომ ჩასწვდეს შემდგომი ქმედებების რაობას. თემმა შური უნდა იძიოს, რადგან მათი წარმოდგენით წმინდა ხარის დაკვლით მოლოდ რწმენა კი არ შეუბღალეს, მათს თავისუფლებასაც დაემუქრნენ. ღერმეთისადმი მსახურებაში სახიერდებოდა მთელი უშგული.

უცხოელი მკითხველისათვის უდავოდ დამაინტრიგებელი იქნებოდა სტუმარმასპინძლების კავკასიური წესი, რომელიც ნოველაში ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ ალუზიერებით შემოდის. მართალია, ფუთა დადეშქელიანი მტერია, მაგრამ ის მაინც საპატიო სტუმრად მიიღეს, თუმცა თემი ურყევია, ღერმეთის შეურაცხყოფელი უნდა დაისაჯოს. მას ყველამ ერთად უნდა გამოუტანოს განაჩენი და ყველამ ერთად მოკლას, ამ შემთხვევაში მითოსური დაუშლელი მთლიანობა აზროვნების ფორმაში ვლინდება. ერთიანობით სინდისი სუფთა დარჩება. თანაც ეს იქნება არა მკვლელობა, არამედ სამართლის აღსრულება. ასეთი შეფასებით თემი პირველ რიგში თავის ადათთან იმართლებს თავს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სტუმრის მოკვლა უდიდეს დანაშაულად ითვლება, რადგან სტუმარი კავკასიაში ღვთისაა და ამით უშგულებებმა თავადაც უღმერთო საქმე ჩაიდინეს. მწერალი მოკვეთის ტრადიციასაც იყენებს, ოღონდ ამ შემთხვევაში მოხუცი მასპინძელი მოიკვეთს შვილს, ოჯახს, გვარ-ტომს, მთელ უშგულს და გადაიხვეწება.

გრ. რობაქიძე ნოველებში ზოგჯერ ესეიტურ ჩანართებსაც იყენებს. ის ხშირად განმარტავს ისეთ ფრაზებს, რომლებიც გაუგებარია მკითხველისათვის (ზანკურს, ჭანურს, დღესასწაულებს). ასეთი დეტალები ცხადყოფს, რომ მწერალი ცდილობს კავკასიური თვითმყოფადობა უფრო საჩინო გახადოს იმ ენობრივი დისკურსისათვის, რომელიც მოღვაწეობა უწევს.

სამივე ნოველაში ავტორი ქმნის მხატვრულ მოდელებს, რითაც როგორც უცხოელი, ისე ქართველი მკითხველისათვის იკვეთება კავკასიური იდენტობა; მწერალი ახერხებს შექმნას რეალობის შესამეცნებელი ორმაგი სივრცე — გარე და შიგა: პირველი მიიღწევა გრიგოლ რობაქიძისთვის დამახასიათებელი ენობრივი სტილიზაციით, მეორე კი — ეთნო-ყოფითი რიტუალების თხრობაში შემოტანით. ასეთი ხერხით მწერალი ჯერ „გარედან“ დაანახებს მკითხველს კავკასიურ თვითმყო-

ფად ფენომენს (რომელიც აერთიანებს ამ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრებ ყველა თემსა და ეთნოსს), მერე კი „შიგნიდან“ აგრძობინებს და მის თანაზიარად აქცევს. სამივე ნოველაში ცნაურება ავტორის მიზანი — კავკასიელობა წარმოადგინოს როგორც გარკვეულ, ტრადიციულ წესრიგს დაქვემდებარებული მყოფობა, რომელშიც გაერთიანებულია პიროვნული და ეთნოსური თვისებები.

დაგონგეზანი:

ბრეგაძე 2013: ბრეგაძე კ. გრიგოლ რობაქიძის რომანების პოეტიკა. სპეკალი. №7, 2013.

რობაქიძე 2013: რობაქიძე გრ. კავკასიური ნოველები. თბ.: „არტანუჯი“. 2013.

რობაქიძე 1996: რობაქიძე გ. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. კრებული. თბ.: 1996.

სმიტი 2008: სმიტი ე. ნაციონალური იდენტობა. თბ.: „ლოგოს პრესი“, 2008.

სოციალურ-პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი 2004: სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (სარედაქციო ჯგუფი: ე.კოდუა და სხვ.). თბ.: „ლოგოს პრესი“, 2004.

LARISA KISLOVA

Russia, Tyumen

Tyumen State University

«Flamenco in Russian»:

the Problem of Cultural Assimilation in the Novel Dina Rubina «The Last of the Wild Boar in the Forests Pontevedra's»

The novel “The Last wild boar from the forest Pontevedra” by Dina Rubina shows dive of heroes-emigrants in another reality, is created a model of the world without borders. The author-adult enters into a dialogue with a foreign culture, lives in an atmosphere of carnival and participates together with the heroes of the novel in a symbolic representation . The writer is trying to penetrate into the Spanish mentality, she links the Russian cultural stereotypes with a tragic history, in which she has engaged.

Key words: Context, discourse, space, carnival, cultural paradigm, mentality.

Л.С. КИСЛОВА

Россия, Тюмень

ТюмГУ

**«Фламенко по-русски»: проблема культурной ассимиляции
в романе Дины Рубиной «Последний кабан из лесов
Понтеведра»**

*А смерть
все выходит и входит,
выходит и входит ...*

*А смерть
все уходит –
и все не уйдет из таверны.*

Федерико Гарсия Лорка

